# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცუღლობით და ჭორებით ბურთის გაცვანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ორშაბათი, 11 დეკემბერი. 2023 წ. №139 (9671) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


„პოლიტიკური ეკონომიკა“

## „ნერვებდაწყვეტილი“ ენგურჰესი

იხ. 5 გვ.



### რუსული ენერგეტიკული თამაშები აფხაზეთთან

## უმეცრება, ამორალურობა, საცოდაობა...

### ფონდი „ქართუს“ განცხადება




გასულ შაბათს ნოდარ მელაძის გადაცემაში გავიდა მორიგი უსუსური სიუჟეტი, რომელშიც ავტორებმა კვლავინდებურად სცადეს ბიძინა ივანიშვილისა და „ქართუს“ სტრუქტურების დისკრედიტირება. პროპაგანდისტული სიუჟეტი აგებული იყო ძველი ნაცადი რეცეპტით – რაც უფრო დიდი და უსაფუძვლოა ტყუილი, მით მეტი ადამიანის შეცდომაში შეყვანაა შესაძლებელი...

„თუმცა, სიუჟეტი იმდენად უსუსური და დაუსაბუთებელი გამოდგა, რომ ყურადღებიან მაყურებელს მეტი კითხვა მისი ავტორებისადმი უნდა გასჩენოდა. მიუხედავად აღნიშნულისა, საჭიროდ ვთვლით მოკლე კომენტარის გაკეთებას. შეგახსენებთ, თუ რაზე იყო საუბარი: არაფრისგან სენსაციის შექმნის დიდოსტატებმა გამოაგორეს ბრალდება, რომ ბიძინა ივანიშვილმა, ერთ-ერთი ოფშორის მეშვეობით შექმნა საქართველოში სპეციალური ორგანიზაცია – „ახალი სერვისი“, რომლის მეშვეობითაც, სისტემურად ახდენს ქართველი მაღალჩინოსანი საჯარო მოხელეების მოსყიდვას, რისთვისაც ამ ორგანიზაციიდან რეგულარულად რიცხავს გიგანტურ თანხებს.

„მამხილებელი“ ფსევდოსიუჟეტის ავტორთა მოსაზრებით, ამ გზით თითოეულ „ჩინოვნიკზე“ ხდება ათიათასობით ამერიკული დოლარის გადახდა და ამ ყველაფრის მტკიცებულებად „საგამოძიებო ჟურნალისტიკის კორიფეებმა“ მოიყვანეს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის იური ნოზაძის დეკლარაცია, სადაც აღნიშნული იყო, რომ მისი მეუღლე ხსენებული ორგანიზაციიდან იღებს წარმოუდგენელი სიდიდის თანხას – 1400 ლარს! რეალობა კი შემდეგია: ადრეც მრავალგზის თქმულა, რომ ივანიშვილების ოჯახი მკაფიოდ და მკაცრად მიჯნავს ფონდის საქველმოქმედო საქმიანობასა და პირად თემებს.

ფონდი „ქართუს“ მხრიდან დაფინანსებას იღებენ საზოგადო მოღვაწეები, კულტურისა და სპორტის წარმომადგენლები, რომელთაც დამსახურება მიუძღვით ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე. ხოლო „ახალი სერვისით“ ბიძინა ივანიშვილის ოჯახი დახმარებას უწევს საკუთარ ნათესავებს, ახლობლებს და მეგობრებს. ამ ორი თემის გადაკვეთა არასოდეს მომხდარა არა იმიტომ, რომ რამე იურიდიული შეზღუდვა არსებობს და ფონდიდან აკრძალულია ახლობლების დახმარება, არამედ იმიტომ, რომ ეს თავად ივანიშვილების ოჯახის გადაწყვეტილებაა, რომელიც ყოველთვის მიჯნავს პირადი ხასიათის საკითხებს ფონდის საქველმოქმედო საქმიანობისგან. ეს ხაზს უსვამს მათ ძალზე დელიკატურ და პრინციპულ დამოკიდებულებას ქველმოქმედებისადმი და ნათლად აჩვენებს მაღალ ზნეობრივ სტანდარტს. ახლობლების დასახმარებლად სპეციალური ორგანიზაციის დაფუძნება ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს, რომ ყველაფერი მოქცეულიყო სამართლებრივ ჩარჩოში და მომხდარიყო შესაბამისი საგადასახადო რეგულირება.

იხ. 5 გვ.

გიორგი კვესიტაძე:

## საქართველოსა და ჩინეთის სამეცნიერო თანამშრომლობას კარგი მომავალი აქვს!



გ. კვესიტაძე ჩინელ სტუდენტებთან ერთად

იხ. 7 გვ.

## პოლიტიკაში მოფარფატე რომან გოცირიძის მზაკვრული გეგმა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გაუქმებისა!..



იხ. 6 გვ.




## უკრაინის შემდეგ ვის შეუვარდება ტანკზე ამხედრებული რუსეთი?

4

# SOS! აფხაზეთში ცემით მოკლეს!



თემურ კარბაია

**ადგილობრივი მილიციის მხრიდან ფიზიკური ანგარიშსწორების შედეგად ოკუპირებულ აფხაზეთში საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დაიღუპა, ადამიანის უფლებები უმოწყალოდ ილახება ოკუპირებულ ტერიტორიებზე** – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა სოციალურ ქსელში დაწერა.

**„ადგილობრივი მილიციის მხრიდან სასტიკი ფიზიკური ანგარიშსწორება, რის შედეგადაც ოკუპირებულ აფხაზეთში საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე თემურ კარბაია დაიღუპა, არის ტრაგიკული შეხსენება იმისა, რომ ადამიანის ელემენტარული უფლებები უმოწყალოდ ილახება რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ადამიანის უფლებათა დაცვის მწუხარე, 75-ე წლისთავია“**, – წერს სალომე ზურაბიშვილი.

# არჩილ ტატუნაშვილის სახელობის მემორიალი წილკანში

**საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გრიგოლ გიორგაძემ, თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილემ, გენერალ მაიორმა ჯონი ტატუნაშვილმა და მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულმა დავით ნოზაძემ წილკნის დევნილთა დასახლებაში არჩილ ტატუნაშვილის სახელობის მემორიალი ოფიციალურად გახსნეს.**

გმირ სამხედროს დევნილთა დასახლებაში სკვერისა და სპორტული მოედნის გახსნის სურვილი სიცოცხლეშივე ჰქონდა. ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა ეს სურვილი რამდენიმე წლის წინ განახორციელა. დღეს კი, არჩილ ტატუნაშვილის ოჯახის ინიციატივითა და თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, სკვერში გმირის მემორიალი გაიხსნა. უწყებამ სკვერის გამწვანებაშიც მიიღო მონაწილეობა.




## ირაკლი ღარიბაშვილი:

# ჩვენი მთავრობა მუდმივად ადასტურებს ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებისადმი ერთგულებას!



**დღეს ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის მიღებიდან 75 წლისთავი შესრულდა. ჩვენი ხელისუფლების მიზანია, შექმნას და ხელისუფლების თითოეული შტოს, საჯარო უწყებათა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით მუდმივად განავითაროს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ეფექტიან დაცვას,** – ამის შესახებ აღნიშნულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის, **ირაკლი ღარიბაშვილის** განცხადებაში.

„ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლების დაცვით სახელმწიფო აძლიერებს ინსტიტუციურ დემოკრატიას, უზრუნველყოფს სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უფლებებით თანაბარ სარგებლობას, განამტკიცებს თანასწორობის პოლიტიკას და მუდმივად ზრუნავს ოკუპაციის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებზე.

ადამიანის უფლებების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გასული წლის 5 სექტემბერს მთავრობამ მოიწონა, ხოლო 2023 წლის 23 მარტს პარლამენტმა დაამტკიცა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია. იგი ქმნის ერთიან ჩარჩოს ქვეყანაში ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ეროვნული სისტემისა და ინსტიტუციური დემოკრატიის გასაძლიერებლად; ემსახურება საზოგადოებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას სახელმწიფოს მიერ; უზრუნველყოფს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების განუხრელ დაცვას.

სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების აღსრულებისათვის ამჟამად აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე (2024-2026 წწ). ამ მიზნით აქტიურად იმართება შეხვედრები სახელმწიფო უწყებებისა და სამოქალაქო სექტორის ჩართულობით.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტი შემუშავებულია მთავრობის ადმინისტრაციის კოორდინირებით და სახელმწიფო უწყებების მიერ სამოქალაქო სექტორის რეკომენდაციებზე დაყრდნობით. სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობა გაგრძელდება სამოქმედო გეგმის შესრულების ეტაპზეც.

ჩვენი მთავრობა მუდმივად ადასტურებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ვალდებულებისადმი ერთგულებას, რაც გულისხმობს სისტემური, თანამიმდევრული და გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავებასა და წარმართვას. ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის განმტკიცებისთვის ძალისხმევა კიდევ უფრო გვაახლოებს ევროპულ ოჯახს.

ხალხისა და ხელისუფლების საერთო ძალისხმევით ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობა განუხრელად ძლიერდება. დღეს უკვე სახეზე გვაქვს კონკრეტული ხელშესახები შედეგები, როგორებიცაა ასოცირების შეთანხმება, უვიზო მიმოსვლის რეჟიმი, გასულ წელს მიღებული ევროპული პერსპექტივა, და სულ ახლახან – ევროკომისიის ღირსეული, გონივრული და ბრძნული გადაწყვეტილება კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით.

ეს გზა დღითიდღე გვაახლოებს ჩვენს საბოლოო მიზანთან – საქართველოს ევროკავშირში სრულ ინტეგრაციასთან“, – აღნიშნულია ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაში.

# ასეთი შავბნელი გაგების ხალხის „გაპრავებით“ გინდათ ობიექტური მედიის მანტიის მორგება?!

„მთავარი არხის“ ეთერში გასულ აბსურდულ ბრალდებებზე აგებულ სიუჟეტზე მინდა გავამახვილო ყურადღება.. რამდენიმე დღის წინ აჭარის პოლიციასთან მოქალაქე ავთანდილ კომახიძის ოჯახის წევრები და ახლობლები მივიდნენ, პოლიციის უფროსს გრიგოლ ბესელიას ადანაშაულებდნენ კომახიძეს ქვეყნიდან წასვლა აიძულა, ახლა დაბრუნების შესაძლებლობას არ აძლევს, ნარკოტიკების და იარაღის ჩადებით ემუქრებაო. მეტი რა უნდოდათ ამ ვითომ ოპოზიციურ არხებსაც შემოჰკრეს განგაშის ზარი, ოღონდ რამე გადატრიალებული თქვას ვინმემ პოლიციაზე და საეთერო დროს თვალის დაუხამხამებლად დაუთმობენ.

მეტიც შაბათის ეთერში მიუძღვნეს ვრცელი სიუჟეტი, არიქა აჭარის პოლიციის უფროსი მოქალაქეს ნარკოტიკების და იარაღის ჩადებით ემუქრებოდა – ქვეყანაში შემოსული არ დაგინახოო. ვინ არის ეს მოქალაქე, ავთანდილ კომახიძე, ის არის სხვადასხვა მუხლით, მათ შორის ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი პიროვნება, როგორც მისი ნაცნობები ამბობენ, დიდი კანონმორჩილებით არც დღეს გამოირჩევა და ერთი ქუჩური მენტალობის კაცია, რომელიც ასეთივე მენტალობის ხალხში ტრიალებს. ასეთი შავბნელი გაგების ხალხის „გაპრავებით“ გინდათ, მოქალაქეებზე ორიენტირებული, ობიექტური მედიის მანტიის მორგება?

ლევან ნიკოლეიშვილი

# თბილისის მერიის საგანგებო განცხადება!

„გვსურს, გამოვეხმაუროთ ერთ-ერთი მედიასაშუალების მიერ გავრცელებულ ცილისმწამებლურ ინფორმაციას, თითქოს, თბილისის მერის კორუფციული გარიგების წყალობით, „თბილისის განვითარების ფონდმა“ გამრეკელის ქუჩაზე სამუშაოების წარმოების უფლება კომპანია „ბიქეი კონსტრაქშენს“ უკონკურენტოდ მისცა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ეს არის მორიგი სიცრუე და დეზინფორმაცია, რასაც აღნიშნული ტელეკომპანია პერიოდულად მიზანმიმართულად ავრცელებს, დედაქალაქის მერისა და თბილისის მუნიციპალიტეტის დისკრედიტაციის მიზნით.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ თბილისის განვითარების ფონდი ახორციელებს ავარიული მრავალბინიანი სახლების ჩანაცვლების პროექტს. აღნიშნული პროექტის დაანონსებისთანავე, თბილისის ვიცე-მერმა მოიწვია ბაზარზე არსებული ყველა წამყვანი დეველოპერული და სამშენებლო კომპანია და მათ პრეზენტაციის სახით მიაწოდა პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია. ამის შემდეგ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე და პოტენციური მიმწოდებლების გამოკითხვის გზით, ათეულობით კომპანიას გაეგზავნა ბაზრის კვლევის შედეგები და გამოცხადდა საჯარო ტენდერი.

ავარიული მრავალბინიანი სახლის ჩანაცვლების სამივე ტენდერში გაიმარჯვა „ბიქეი კონსტრაქშენმა“, რომელიც ამ ტენდერების ერთადერთი მონაწილე იყო. კონკრეტულად გამრეკელის ქუჩაზე, ავარიული კორპუსის ჩანაცვლების მიზნით გამოცხადებულ ტენდერი პირველ ჯერზე ჩავარდა და მხოლოდ მეორედ გამოცხადების შემდეგ გამოჩნდა მონაწილე.

აღნიშნული ტენდერებით, სამწუხაროდ, არცერთი სხვა სამშენებლო კომპანია არ დაინტერესებულა, ვინაიდან ეს პროექტები არის ძალიან ეკონომიური, ხარჯეფექტური და დეველოპერებს არ რჩებათ დიდი მოგება. ამას ადასტურებს თბილისის მერის, კახა კალაძის მიერ არაერთხელ გაკეთებული განცხადება, რომლითაც ის მოუწოდებდა სამშენებლო სექტორს, ეაქტიურათ, ჩართულიყვნენ ავარიული მრავალბინიანი სახლების ჩანაცვლების პროექტში (იხილეთ რამდენიმე განცხადება: https://tbilisi.gov.ge/news/14589; https://tbilisi.gov.ge/news/13444;

მოვუწოდებთ მედიის წარმომადგენლებს, პატივი სცენ მაყურებელს და ნუ ეცდებიან, დეზინფორმაციის გავრცელების გზით შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოება“.

# ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ გრძელდება

**საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიის თანახმად, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადდა. კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა დემოკრატიულ საზოგადოებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, რადგან კორუფცია საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობას, დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს,** – ამის შესახებ აღნიშნულია გენპროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, 2023 წლის 9 თვეში, გამოძიება დაიწყო საჯარო სექტორში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულთან დაკავშირებულ 117 სისხლის სამართლის საქმეზე. 2023 წლის 9 თვის განმავლობაში საჯარო სექტორში კორუფციული დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე საქართველოს პროკურატურის მიერ სისხლის სამართლებრივი დევნა 99 პირის მიმართ დაიწყო.

2023 წლის 9 თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 88 პირის მიმართ, რომლებიც კორუფციული დანაშაულის ჩადენის მომენტში დასაქმებულნი იყვნენ საჯარო სამსახურში, ხოლო მათგან 10 ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას წარმოადგენდა მაღალი თანამდებობის პირს. 2023 წლის 9 თვეში სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა საჯარო სექტორში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულში მხილებული 78 პირის მიმართ.

საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების საფუძველზე დაწყებული გამოძიების ეფექტიანად ჩატარება. 2023 წლის 9 თვეში სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან საქართველოს პროკურატურაში გადმოიგზავნა 9 ანგარიში, რომელთა საფუძველზე, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 5 საქმეზე, ხოლო 4 ანგარიში თემატურად დაერთო მანამდე დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეებს. რაც შეეხება აუდიტის დასკვნის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელს, 2023 წლის 9 თვეში პროკურატურის მიერ გატარებული სამართლებრივი რეაგირების შედეგად, 5 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანი დანაშაულის ჩადენის მომენტში მუშაობდა საჯარო სექტორში“, – აცხადებენ პროკურატურაში.



პეტრე მამრაძე:

# არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ვითარება ისე შეიძლება დაიძაბოს, რომ ნაცებზე უარი თავად სააკაშვილმა თქვას...

**„ნაციონალურ მოძრაობაში“ რღვევა გრძელდება! რამდენიმეხნიანი პაუზის და დუმილის შემდეგ, ნიკა მელიამ, როგორც იქნა ამოღერღა, რომ პარტია დატოვა. ახლა მაინც რეალურად ეცოდინება მის თანამოაზრეებს, რომ ის ენმ-ის წევრი აღარ არის. მაშ ასე, სად მიდის მელია და ვინ შეიძლება მას გაჰყვეს? როგორ განვითარდება ორად გაყოფილი „ნაციონალური მოძრაობის“ ბედი?**

როგორც მელიამ თქვა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავის პოლიტიკურ სტანდარტად აქცია არაფორმალური მართვა, განსხვავებული აზრის დევნა, ამიტომ ის პარტიიდან მიდის.

სად გააგრძელებს ნიკა მელია პოლიტიკურ საქმიანობას არ დაუკონკრეტებია. მისი თქმით, მიდის „წინ, მომავლისკენ და წარსულს ტოვებს წარსულში“.

ბოლო 4 დღის განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობა“ 100-ზე მეტმა წევრმა დატოვა. რეგიონული ორგანიზაციებიდან წასულებს შორის 45 საკრებულოს წევრია. ისინი მანდატების დატოვებას არ აპირებენ და თვითმმართველ ორგანოებში მუშაობის გაგრძელებას დამოუკიდებელი დეპუტატების სტატუსით აპირებენ.

კასპის რაიონული ორგანიზაციიდან წასვლის გადაწყვეტილება „ნაციონალური მოძრაობის“ 26-მა წევრმა მიიღო, მათ შორის 6 საკრებულოს ფრაქციის წარმომადგენელია. პარტიის უკვე ყოფილი წევრები გადაწყვეტილების მიზეზად, **კეზერაშვილ-მერაბიშვილის** არაფორმალურ მმართველობასა და მოქმედი მენეჯმენტის მართვის სტილს ასახელებენ. ამბობენ, რომ **ლევან ხაბეიშვილის** თავმჯდომარეობით „ნაციონალური მოძრაობა“ გაერთიანების ნაცვლად დაიშალა.

რაიონული ორგანიზაციების დატოვების გადაწყვეტილება მიიღეს სიღნაღში, წინანდალსა და ახმეტაშიც. „ნაციონალური მოძრაობიდან“ წასულ 20 წევრს შორის 3 საკრებულოს ფრაქციას წარმოადგენდა. ამბობენ, რომ მოქმედ მენეჯმენტთან თანამშრომლობის ყველა რესურსი ამოწურეს, კრიზისიდან გამოსავალს კი ვეღარ ხედავენ.

რაიონული ორგანიზაციებიდან წევრების წასვლა ნიკა მელიას მორიგი პერფორმანსია მოქმედი მენეჯმენტისთვის. ხაბეიშვილის ფრთა ამტკიცებს, რომ გუნდის უკვე ყოფილი წევრები, პარტიულ საქმიანობას, ბოლო 9 თვის განმავლობაში ისედაც ბოიკოტს უცხადებდნენ.

**„ნიკა მელია არ გადიოდა „ნაცმოძრაობიდან“, სანამ არ გარიცხეს და ამის მერე თქვა, რომ გავიდა პარტიიდან. ეს თავიდან ბოლომდე მეტყველებს მის არათანმიმდევრულობაზე, აქამდე თავმოყვარე კაცი უნდა გასულიყო „ნაცმოძრაობიდან“,** — განაცხადა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ **ირაკლი კობახიძემ**.

**„ამ უმძიმეს პოლიტიკურ პარტიას ვერ ელეოდა ამდენი ხნის განმავლობაში, ინარჩუნებდა იმედს, რომ მოახერხებდა „ნაცმოძრაობაში“ პოზიციების აღდგენას. ახლა უკვე გარიცხულზე გასვლას, რა თქმა უნდა, არავითარი ფასი არ აქვს. მთლიანობაში, მელიას პერსპექტივები ქართულ პოლიტიკაში მაინცდამაინც დიდი არ არის, თუმცა კარგი ის არის, რომ მას შეუძლია დაახლოებით 1% წაართვას „ნაცმოძრაობას“. შესაბამისად, ეს ყველაფერი, ბუნებრივია, დადებითად აისახება არჩევნების შედეგებზე“** — განაცხადა **ირაკლი კობახიძემ**.

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** for.ge-სთან ფიქრობს, რომ ნიკა მელიას და მისი თანაგუნდელების პარტიიდან წამოსვლა კარის მყარად მოჯახუნებას უფრო ჰგავს, ვიდრე ოპოზიციურ ველზე გაშლის ტაქტიკას. აბაშიძე მიიჩნევს, რომ ნიკა მელია, ჯერჯერობით, სააკაშვილის ღია და საჯარო კრიტიკას ერიდება, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა, ის მოლოდინშია, რომ სააკაშვილის ე.წ. გარდამავალი დროშა, საბოლოო ჯამში, მას ერგება.



# აირჩიე შენი ურნა!




**„როგორც ჩანს, იგივეს ფიქრობენ ხაბეიშვილი-კეზერაშვილი, ამიტომაც სააკაშვილს, როგორც წმინდა ხატს მას არ ეხებიან. თუმცა, პატიმრობაში მყოფი სააკაშვილის ექსცენტრიულობა ყველამ კარგად იცის, ამიტომ დღეს რას იტყვის, ხვალ და ზეგ არავინ იცის, განსაკუთრებით პარტიაში მიმდინარე კონფრონტაციის ფონზე. აქ კიდევ საკითხავია, ნიკა მელიას რამდენი გაჰყვება. გარდა იმისა, მიიღებს თუ არა ის სააკაშვილისგან სერტიფიცირებას და ექნება თუ არა ფინანსები.**

**აქ ისმის კითხვა - რომელი „ნაცმოძრობა“ გადალახავს 5%-იან ბარიერს, კეზერაშვილის მარიონეტები თუ პარტიიდან გამოგდებული ნიკა მელია თანაგუნდელებით და კიდევ ვინ შეუერთდება მათ? ის პროგნოზები, რომელიც იყო ანალიტიკურ წრეებში, რომ მელია პარტიას შექმნიდა, ახდა. იქიდან გამომდინარე, რომ მელია ცნობილია როგორც პირობის გამტეხი, საკითხავია გაჰყვებიან კი თუნდაც ძველი პარტიის სახეები, ან თუ მოიზიდავს ახალ სახეებს?“,** — ამბობს **აბაშიძე**.

მისივე თქმით, საკითხავია ვინ დაუდგება ახლა ამ ახალ პარტიას გვერდით. აბაშიძე ასევე ელის, რომ სიების შედგენის დროს კიდევ ბევრი ძველი სახე პროტესტის ნიშნად პარტიას დატოვებს და სიტუაცია 2024 წლის არჩევნებისთვის კიდევ უფრო დაიძაბება.

პოლიტოლოგი **პეტრე მამრაძე** ამბობს, რომ ნიკა მელიას პერსპექტივა და მომავლისკენ სვლა ძალიან სათუოა. მამრაძე ფიქრობს, რომ რაც რამდენიმე თვის წინ მიხეილ სააკაშვილმა თქვა — „ვინც ბოკერიას გზას დაადგება, ის განულდება“ — მართალი იყო. ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ მელია კი არ დაადგა ბოკერიას გზას, ის ამ გზას გაუყენეს.

**„ნაციონალური მოძრაობა“ ნამდვილი მაფიოზური კლანური სტრუქტურაა. 2020 წელს ნახევარ მილიონამდე ადამიანმა მარტო მიხეილ სააკაშვილს მისცა ხმა. ეს არის სამწუხარო რეალობა, სწორედ, ამიტომ სააკაშვილმა 36 დეპუტატი პარლამენტში გაიყვანა, რაც მთელ დანარჩენ ოპოზიციაზე ორჯერ მეტია. თან პირველ ნომრად ბუბა კიკაბიძე ჰყავდა.**

**ახლა, ერთ მხარეს კეზერაშვილი და მერაბიშვილია, ვისაც მთელი აპარატი უნდა დაემორჩილოს. როცა მელიამ მანიფესტზე ხელი არ მოაწერა, ეს იყო დაუმორჩილებლობა. აქეთ კიდევ სააკაშვილია, რომლის ხელშიც ამდენი ხმებია. ვერც კეზერაშვილი და ვერც მერაბიშვილი ვერ მოიტანენ ვერანაირ ხმებს. ყელში წვდომა თქვენ მაშინ ნახეთ, როცა სიებზე დაიწყება საუბარი. სააკაშვილი არ დათმობს. ის იტყვის, თუ ეს ცნობილი უნდა იყოს, როგორც ჩემი პარტია, მაშინ სიაში ეს და ეს ამ ადგილებზე უნდა იყოს. მე ძნელად წარმომიდგენია ასევე, რომ ეს მაფიოზური ანკლავი ამას დათანხმდეს. თუმცა, სააკაშვილს არაფერი უჭირს, იმ დღესვე თქვას, რომ აღარ არის ენმ მისი პარტია და ვქმნი ახალ პარტიას, რომელსაც ეწოდება „მიხეილ სააკაშვილი — ნაციონალური მოძრაობა“,** — ამბობს **მამრაძე**.

მისი აზრით, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ვითარება ისე შეიძლება დაიძაბოს, რომ ენმ-ზე უარი თავად სააკაშვილმაც კი თქვას. მამრაძე მიიჩნევს, რომ ამ დროისთვის საქართველოს ხელისუფლება და „ოცნება“ ძალიან მობილიზებული უნდა იყოს.

**„ძალიან რთულია, როცა გგონია, რომ კონკურენტი არ გყავს. ყოველდღიურად გეუბნებიან, რომ მარტო დარჩი. როდესაც კვლევები ჩატარდა, ვნახეთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ უარაფროდ 5%-ს ძლივს ღებულობს. თუმცა, სააკაშვილით 15%-ს მაინც აიღებენ. ამიტომ მოდუნება არ შეიძლება“,** — ამბობს **მამრაძე**.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# თბილისის ორგანიზაციები სამასამდე ნაცმა დატოვა

**„ნაციონალური მოძრაობის“ რიგებს ყოველდღიურად ასეულობით ადამიანი ტოვებს. მხოლოდ გუშინ პარტიიდან 300 ადამიანი წავიდა, რომელთა შორის არიან ძირითადად თბილისის ორგანიზაციის წარმომადგენლები, თავმჯდომარეები და საკრებულოს წევრები.**

პარტიას გამიჯნულები, პოლიტიკურ მომავალს, ნიკა მელიასთან ერთად ხედავენ.

**„მოგმართავთ ახალ მენეჯმენტს, რა არის თქვენთვის ეს პარტია, შეიძლება ეს არის მექანიზმი პარლამენტში მოხვედრისა, შეიძლება ეს არის მექანიზმი თქვენი ამბიციების დაკმაყოფილების, მაგრამ ჩვენთვის ეს არის პოლიტიკური ოჯახი, სადაც მოვედით ღირებულებებით და იდეალებით დამუხტულები. სამწუხაროდ, დღეს ჩვენს თავს მანდ ვეღარ ვხედავთ. დღეს წარმოდგენილი ადამიანები მხოლოდ მცირე ნაწილია, რომლებიც ისე ფიქრობენ, როგორც ჩვენ. გვიწევს, სამწუხაროდ, ძალიან რთული გადაწყვეტილების მიღება, რაც ჩვენთვის ძალიან მძიმეა, თუმცა ალბათ ამ ეტაპისთვის აუცილებელი“,** — განაცხადა **გესიკ გაზდელიანმა**.



# დასავლეთს ფული და ტვინი ერთად გამოელია!



**უკრაინის მხარდაჭერის დინამიკა შენელდა. 2023 წლის აგვისტოდან ოქტომბრამდე უკრაინისთვის დაპირებული ახალი სამხედრო, ფინანსური და ჰუმანიტარული დახმარება 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით თითქმის 90 პროცენტით შემცირდა, ამასთან, სენატის გადაწყვეტილებით უკრაინა ვერც ამერიკულ დახმარებას ვერ მიიღებს, რადგან უკრაინის დაფინანსების შესახებ კანონპროექტის კენჭისყრა სენატმა დაბლოკა.**

**რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის დირექტორი სერგეი ნარიშკინი აცხადებს, რომ აშშ საკუთარი თავისთვის უკრაინის მეორე ვიეტნამად გადაქცევას რისკავს. სენატის გადაწყვეტილების შემდეგ, უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანმა ალექსეი დანილოვმა მიმართა მოსახლეობას, რომ შეინარჩუნონ სიმშვიდე და სიმტკიცე, რადგან უკრაინა არ დათმობს საკუთარ მიწას და გააგრძელდებს რუსული მონსტრის განადგურებას. რატომ შეამცირა დასავლეთმა უკრაინის მხარდაჭერა — ამ საკითხებთან დაკავშირებით For.ge პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრება.**

# უკრაინის შემდეგ ვის შეუვარდება ტანკზე ამხედრებული რუსეთი?

## პუტინის დაჩოქებას მეტი ფიქრი სჭირდებოდა!




**— უკრაინის მოკავშირეებმა ქვეყნისთვის დახმარების მიწოდება მკვეთრად შეამცირეს, დახმარების მაჩვენებელი ომის დაწყების შემდეგ ყველაზე დაბალ ნიშნულამდე დაეცა. უდავოა, რომ უზარმაზარ დახმარებას ღებულობდა უკრაინა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არასაკმარისი იყო. დღეს როგორ ხსნით დასავლეთის და მათ შორის აშშ-ის სენატის ასეთ გადაწყვეტილებას? რუსი ოპოზიციონერი გარი კასპაროვი ამტკიცებს, რომ აშშ-ის მიზანი არ არის ამ ომში რუსეთის დამარცხება...**

— **რამაზ საყვარელიძე:** ყველა თავისთვის მისაღებ იდეას იცავს. გაბრაზებული კომენტატორები უკრაინაში და უკრაინის გარშემოდაც, მათ შორის კასპაროვი, როგორც უკრაინის გულშემტკივარი, რა თქმა უნდა, ამერიკას დაარტყამს, მაგრამ, ჩემთვის ძნელია ამის გაზიარება, რადგან ჩემთვის შინაგანად ცხადი არ იყო, იგებდა თუ არა უკრაინა. ვინაიდან მე უკრაინას ვემხრობი და რუსეთი არ მინდა, ამიტომ მოვლენებზე თვალის დახუჭვა არ შემეძლო. რუსეთის დამარცხება, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს, მარტო კეთილი სურვილებით შეუძლებელია. უნდა იყოს გათვლილი, რითი დაამარცხებ რუსეთს.

**— დამარცხების მექანიზმი არ იყო გათვლილი?**

— სიმართლე გითხრათ, მეგონა, რომ სანქციების თემა იმუშავებდა და ეს მიმაჩნდა ყველაზე ძლიერ ინსტრუმენტად, მაგრამ არ იმუშავა ამ სანქციებმა. თვითონ დასავლეთმა დაარღვია თავისივე სანქციები და მოგებაზე გაიყვანა რუსეთი, რაზეა ლაპარაკი... ამ დროს **ბაიდენმა** გამოაცხადა, რომ რუსეთის დაშლა ჩემთვის მიუღებელია, იმიტომ, რომ მერე ჩინეთი დაიკავებს მთელ იმ სივრცეს და ეს ჩინეთს ძალიან გააძლიერებსო. მართალია, ჩინეთს გააძლიერებს თუკი რუსეთის სივრცეზე შევიდა, მაგრამ ეს თავიდან არ იყო ცხადი? თავიდანვე ცხადი არ იყო, რომ რუსეთს უფრო მეტი ადამიანის გამოყვანა შეუძლია ვიდრე უკრაინას?

**— ის იდეა, რომ დავასუსტოთ რუსეთი, ოღონდ არ დავამარცხოთ, როგორ შეიძლება ავხსნათ, ბაიდენის ამ იდეას აქვს გამარჯვების კონცეფცია?**

— ძალიან მყიფე იდეა არის. გაუგებარია რას ნიშნავს დასუსტება. თუ რუსეთის დასუსტება ნიშნავდა მის საზღვართან მიყვანას, ეს არაა დასუსტება. წარმოვიდგინოთ სტალინს, ჩერჩილს და რუზველტს, ჰიტლერი რომ საზღვართან მიეყვანათ და მერე გაჩერებულიყვნენ, ამით დამთავრდებოდა მეორე მსოფლიო ომი? — არა, რა თქმა უნდა. მოიკრებდა ძალას და ხელახლა გადავიდოდა შეტევაზე. იგივეს იზამს რუსეთი.

გაცილებით ტრაგიკულია თვითონ უკრაინის ბედი. იქ ადამიანების რესურსები ეწირება ამ ომს, მაგრამ დასავლეთის ფინანსური რესურსებიც ეწირება და აღარ უნდათ საკუთარი ფინანსური რესურსების შეწირვა, მით უმეტეს, რომ უკვე ნელ-ნელა ყველა გაიძახის ერთსა და იმავეს. პარიტეტული მდგომარეობაა და იმავეს ამბობს მხედართმთავარი **ზალუჟნი**, რომ თანაბარი მდგომარეობაა, ვერც ჩვენ მივდივართ წინ და ვერც რუსები მოდიან წინო.

კი, მაგრამ თუ ატყობთ, რომ პარიტეტული მდგომარეობაა, მაშინ დაჯდნენ, მოაწერონ ხელი დროებით ზავს მაინც და შეწყდეს სისხლისღვრა. აი, ეს აკვიატება, რომ ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ, თუ არადა სუვერენიტეტს ვკარგავთ, ძალიან კარგად ჟღერს. მაგრამ მაგ ბრძოლაში, რასაც ჰქვია შენი სუვერენიტეტის დაცვა, მოგყვებიან ის ქვეყნები, რომლის გარეშედაც ტყვია-წამალიც კი არ გაქვს? ამ პირობებში, როდესაც, პრაქტიკულად, არანაირი საომარი რესურსი არ გააჩნია უკრაინას, ყველაფრით დამოკიდებული არის უცხოეთზე და ჩნდება კითხვა — როდემდე შეიძლება უცხოეთმა ზიდოს უკრაინა?

**— რომელიც ამ დახმარებას არ იყენებდა მიზანმიმართულად, ვიცით, კორუფციული სკანდალი და არა ერთი...**

— რაც არ უნდა კეთილგანწყობა ჰქონდეს ერთ ადამიანს მეორის მიმართ, რამდენი ხანი შეიძლება აიყვანოს ეს მეორე ადამიანი და არჩინოს? თან, უცხო და თან თავის კმაყოფაზე? შეიძლება ერთი კვირა, ერთი თვე, მაგრამ ორი წელი? ამიტომ ვამბობ, რომ კონცეპტუალურად მოუმზადებელი პროექტი აღმოჩნდა. არავინ იცოდა, რას ნიშნავდა გამარჯვება და სადამდე იბრძოლებდნენ ეს ქვეყნები, როგორც ფინანსურად, ასევე ეკონომიკურად უკრაინის მხარდასაჭერად და რუსეთის წინააღმდეგ. აღმოჩნდა, რომ ეგეც არავინ არ იცოდა. ფაქტია, რომ რახან დასავლეთმა დაარღვია თავისი სანქციები, ე.ი. დასავლეთი არ იყო რუსეთთან საბრძოლველად მზად. მასში არ იყო მომწიფებული ის აზრი, რომ რუსეთი უნდა განადგურდეს. მით უმეტეს ბაიდენი იძახდა, რომ რუსეთი კი არ გავანადგუროთ, არამედ დავასუსტოთ.

**— გაუგებარი ტერმინია, რას ნიშნავს დასუსტება...**

— რა თქმა უნდა. დასუსტებული ელცინის რუსეთიც იყო. გამოიყენა მაშინ დასავლეთმა ელცინის სისუსტე? — არა. ისევ ფეხზე დადგა და ისევ ყველას ემუქრება.

**— უმძიმესი ვითარებაა უკრაინაში, ამას უკვე თავად უკრაინის ხელისუფლების მაღალჩინოსნებიც არ მალავენ, მაგრამ საქართველოში ვითარება არის განსხვავებული და ამბობენ, რომ უკრაინა იმარჯვებს. ღმერთმა ქნას, რომ ასეც მოხდეს, მაგრამ როგორ ფიქრობთ, გამარჯვების შანსი ეწურება უკრაინას?**

— ნელ-ნელა იწურება ეს შანსები. უკრაინის ეს შანსი გამოიკვეთა ზალუჟნისა და თვითონ უკრაინელი ჯარისკაცების არაჩვეულებრივი ბრძოლისუნარიანობით. ახლა თვითონ ამ ჯარისკაცებს უპირისპირდება პოლიტიკური ხელმძღვანელობა. როგორ უნდა ააწყოს ბრძოლა, მებრძოლებთან დაპირისპირებულმა პრეზიდენტმა? აი, ეს არ მესმის. ამ ფონზე ასეთი აკვიატება, რომ გაიმარჯვებს და თქვენი თქმისა არ იყოს, მართლა ღმერთმა ქნას, რომ გაიმარჯვოს, მაგრამ დავუშვათ, რომ რუსეთი არ დამარცხდა და პუტინმა მოახერხა იმ ფრაზის თქმა, რაზეც ოცნებობს — „ჩვენ მიზანს მივაღწიეთ“, — ანუ, მაჟორული ემოციით თუ დაამთავრა ეს ომი, მერე გადაჭამს მთელს მსოფლიოს. ვის შეუვარდება ტანკზე ამხედრებული, კაცმა არ იცის. მათ შორის ჩვენც ამ რისკის ქვეშ ვართ. ანუ შეიძლება მივიღოთ გათამამებული და გათავხედებული პუტინი, რომელსაც არც ისე აკლია თავხედობა.

ამ ომის პერიოდში ცოტა მისუსტდა, სიბერის ნიშნები გაუჩნდა, პლედს იფარებდა ერთ-ერთ პარადზე და ა.შ. მაგრამ ეგ თუ ღონივრად შემოტრიალდა, ეს მთელი მსოფლიოსთვის იქნება სახიფათო.

**— როგორ ფიქრობთ, პუტინის დაჩოქებაზე უკვე გვიანია ფიქრი? მისი ბოლო ვიზიტი არაბეთის გაერთიანებულ საამიროებსა და საუდის არაბეთში ადასტურებს, რომ ნელ-ნელა ცდილობს დაუბრუნდეს ჩვეულ რეჟიმს...**

— კი და ვიზუალურადაც კი ეტყობა. ამ დღეებში ექნება ტრადიციული წლის პრესკონფერენცია და ვნახოთ, რა განწყობით იდგება. იქნება დასუსტებული, თუ პირიქით, გაძლიერებისკენ მიდის და იგრძნო გამარჯვების სუნი. გვახსოვს სცენა, როდესაც ჩინეთის იმპერატორმა გამომშვიდობებისას უთხრა, რომ მძიმე დღეები გელოდება და გაუძელიო, პუტინმა ვერაფერი ვერ უპასუხა... როდესაც მანქანაში ჩაჯდა, **სი ძინპინმა** ხელი დაუქნია და დიდხანს უყურებდა მიმავალ მანქანას. მაშინ ასეთი დასუსტებული, მორღვეული და თავის თავში შეშინებული პუტინი ჩანდა.

**ესაუბრა**
**თამთა ქარჩავა**

## რეჯეფ თაიფ ერდოღანი:
## სამართლიანი მსოფლიო შესაძლებელია, მაგრამ არა ამერიკასთან ერთად!..



**სამართლიანი მსოფლიო შესაძლებელია, მაგრამ არა ამერიკასთან ერთად, რადგან ამერიკა ისრაელის მხარესაა,** — ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა.

თურქეთის პრეზიდენტის თქმით, ამიერიდან კაცობრიობა ვერ იტყვის ამერიკაზე, რომ ეს არის ქვეყანა, რომელიც მხარს უჭერს გაეროს საყოველთაო დეკლარაციას.

**„ჩვენ არანაირი იმედი და მოლოდინი არ გვაქვს გაეროს უსაფრთხოების საბჭოსგან. უსაფრთხოების საბჭო, რომლის მოვალეობაა გლობალური მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება, 7 ოქტომბრიდან გახდა ისრაელის დაცვისა და მზრუნველობის საბჭო. ის ფაქტი, რომ მსოფლიო 5-ზე დიდია, კიდევ ერთხელ დავინახეთ. გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეფორმა აუცილებელია. ღაზის ტანჯვით, ჩვენ გვჯერა, რომ გაეროს ეს უმწეო და დისფუნქციური სტრუქტურა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება მთელ მსოფლიოში. მე ძალიან ღიად ვამბობ: ღაზის შემდეგ არაფერი შეიძლება, გაგრძელდეს ისე, როგორც ყოველთვის. ღაზის ჯალათებმა პასუხი უნდა აგონ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე საერთაშორისო სასამართლოებში. ღმერთის ნება ასეც იქნება“,** — განაცხადა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა.

## ბენიამინ ნეთანიაჰუ:
## „ჰამასის“ წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებები კიდევ ერთი თვე გაგრძელდება

**— ამის შესახებ ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა. საგანგებო განცხადება ისრაელის პრემიერ-მინისტრმა გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის შემდეგ გაავრცელა, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ რეზოლუციაზე, შტატების ვეტოთი დასრულდა.**



ნეთანიაჰუ ვაშინგტონის ამ პოზიციას მიესალმა და სწორი გადაწყვეტილება უწოდა.

# „ნერვებ-დაწყვეტილი“ ენგურჰესი




**მრავალი წელია, ზამთრის სიცივეების წინაპერიოდში აფხაზეთის მოსახლეობის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავად ენერგეტიკის პრობლემები იქცევა. ელექტროენერგიისა და მასთან დაკავშირებული კომუნიკაციების გათიშვები ადგილობრივებს ყოველ ჯერზე უქმნით პრობლემებს, რომელთა გადაჭრას ხელისუფლება მხოლოდ ლოკალურად – რუსეთიდან მიწოდებული ენერგიით ცდილობს. და თუ გასულ წლებში მოსკოვი აფხაზეთს ენერგოკრიზისის შემსუბუქებაში საინვესტიციო პროგრამის სახსრების ხარჯზე ეხმარებოდა, 2023 წელი ყველა გაგებით გამონაკლისად იქცა.**

ყველაფერი შემოდგომის დასაწყისში, რუსეთის ენერგეტიკის სამინისტროსთან აფხაზეთის ხელმძღვანელობის წინასწარი მოლაპარაკებებით დაიწყო. კონკრეტიკამდე ჯერ კიდევ შორი იყო, მაგრამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში პირველად, მოსკოვმა აფხაზური მხარისგან ავანსი მოითხოვა იმ ელექტროენერგიისთვის, რომლის მიწოდებას რესპუბლიკა დეფიციტის პერიოდისთვის ითხოვდა. სხვადასხვა არაოფიციალური ინფორმაციით, რუსები დაჟინებით საუბრობდნენ რესპუბლიკისთვის მიუწვდომელ ძალზე მაღალ ტარიფზე, კერძოდ, ერთ კილოვატში 6 რუბლზე. აფხაზურმა მხარემ, რომლის დელეგაციასაც ეკონომიკის მინისტრი კრისტინა ოზგანი ხელმძღვანელობდა, ისევ და ისევ არაოფიციალური ინფორმაციით, მოახერხა, მოსკოვს უფრო დაბალ ტარიფზე მოლაპარაკებოდა, ოღონდ გალის რაიონში არსებული იმ ჰესების გადაცემის სანაცვლოდ, რომლებიც ენგურჰესის ერთიანი კომპლექსის შემადგენლობაში შედის და უკვე 30 წელია, აღარ ფუნქციონირებს.

მოგვიანებით ტარიფის ნაწილში ხსენებული არაოფიციალური ინფორმაცია დაადასტურა „ჩერნომორენერგოს“ ხელმძღვანელმა თემურ ჯინჯოლიამ, რომლის თქმით, 30 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგიაში აფხაზეთი 135 მლნ რუბლს, ანუ ერთ კვტ-ში 4 რუბლს გადაიხდის. ელექტროენერგიის ამჟამინდელი მოხმარების ციფრების გათვალისწინებით, ეს მოცულობა რესპუბლიკას სულ 12 დღეს გაატანინებს, მერე კი – არავინ იცის, რა იქნება!

**წარსულში აფხაზეთს, სადაც ადრე ბევრად მეტი ადამიანი ცხოვრობდა, მუშაობდა ფაბრიკები, ქარხნები და სხვა წარმოება, ენერგოუზრუნველყოფის კუთხით პრობლემები არასოდეს შეჰქმნია. მეტიც, გენერირების ობიექტების უმრავლესობა ნახევარი დატვირთვით მუშაობდა. გასაგებია, რომ მაშინ საბჭოთა კავშირი იყო თავისი ერთიანი სისტემით, რომელიც ელექტროენერგიის საჭირო რაოდენობით ყველა რესპუბლიკას უზრუნველყოფდა. მაგრამ მას შემდეგ შეიცვალა არა მარტო ქვეყანა, არამედ მოსახლეობის რაოდენობაც, რომელიც სახლობდა, მაგალითად, ჩვენთან – აფხაზეთში. ანუ, ერთიანი ენერგეტიკული ჯაჭვი აღარ არსებობს, მაგრამ რესპუბლიკას ერგო ენგურჰესი - კავკასიაში უმსხვილესი, 1300 მვტ სიმძლავრისა და 4 მლნ კვტ/სთ-იანი წლიური გამომუშავების მქონე ჰიდროელექტროსადგური. თავად ამ ჰესს სრულად ინახავს საქართველო, რომელიც არა მარტო კვალიფიციურ კადრებსა და ხელფასებს უზრუნველყოფს, არამედ მთელს მიმდინარე და კაპიტალურ რემონტსაც. საქართველოსთან შეთანხმებისამებრ, აფხაზეთი მთელი წარმოებული რესურსის 40%-ს იღებდა, კერძოდ – დაახლოებით 2 მლნ კვტ/სთ-ს, რაც სრულიად საკმარისი უნდა ყოფილიყო რესპუბლიკის ამჟამინდელი – 250-ათასიანი მოსახლეობის საჭიროებებისათვის.**

**დიახ, ასეა, მაგრამ ფაქტობრივად, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ მწვანე შუქი აუნთო და მთავრობამაც თანხმობა განაცხადა კრიპტოვალუტის მაინინგზე, რესპუბლიკაში ელექტროენერგიის კატასტროფული დეფიციტი შეიქმნა, რუსეთიდან მიწოდებების მიუხედავადაც კი. ზამთრობით ადამიანები უშუქოდ 5-7 საათის განმავლობაში ისხდნენ. და სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ბჟანიამ მოულოდნელად საუბარი აფხაზური ენერგეტიკის მოდერნიზებაში რუსი ინვესტორების ჩართვის აუცილებლობაზე.**

თავდაპირველად კონკრეტიკა არ იყო. ოფიციალურად, იგი არც ახლა არსებობს. მაგრამ ხან პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, ხანაც პარლამენტში სისტემატურად ჩნდება გარკვეული ქაღალდები წინადადებებით, რომელიც, როგორც მთლიანად ენერგეტიკის დარგს, ისე მის ცალკეულ ნაწილებს ეხება.

დავუბრუნდეთ ჰესებს, რომელიც გალის რაიონში ოთხია. ერთი მათგანი მთელი წლის განმავლობაში მუშაობს, სამი დანარჩენი – გაძარცულია. ამ ობიექტებისადმი მაღალ ინტერესს რუსეთი ყოველთვის იჩენდა და ყოველ ჯერზე, როცა მათ ხელში ჩაგდებას ცდილობდა, აფხაზეთის ხელისუფლება ამ მცდელობებს ძირშივე კვეთდა.

ამასთან, თავად ენგურჰესმა მარტო ბოლო სამი წლის განმავლობაში რამდენჯერმე სცადა, მოლაპარაკებოდა აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროსაც და პროფილურ „ჩერნომორენერგოსაც“ ჰესების ქართული ან საერთაშორისო ბანკების დახმარებით აღდგენაზე, მაგრამ ყოველ ჯერზე პასუხად უარს იღებდა. ახლა გასაგებია, რატომაც.

**ამასწინათ აფხაზეთის პარლამენტს წარედგინა დოკუმენტი, რომლის მიხედვით, ჰესების საკუთრებაში შეძენა სურს იმ რუსულ კომპანიას, რომელსაც იჯარით აქვს აღებული სოხუმჰესი. პარლამენტს, ისევე, როგორც აღმასრულებელ ხელისუფლებას, ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია. მაგრამ ცოტა ხნის წინ ბურუსი გაფანტა „ჩერნომორენერგოს“ ხელმძღვანელმა, რომლის თქმით, საუბარია არა სამ ჰესზე, არამედ ერთ კასკად №2-ზე. თემურ ჯინჯოლიას თქმით, ხელშეკრულების პროექტი უკვე დამტკიცებულია პრემიერ ალექსანდრე ანქვაბის განკარგულებით და მინისტრთა კაბინეტი მას საბოლოო დამტკიცებისთვის პარლამენტს წარუდგენს.**

ეს ინფორმაცია დაადასტურა „ჩერნომორენერგოს“ ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა, ამჟამად პარლამენტის დეპუტატმა რეზო ზანთარიამაც, რომელიც, მისივე თქმით, „ახლა სწორედ ამ პროექტზე მუშაობს“.

თუ ამ ყველაფერთან ერთად მხედველობაში მივიღებთ აფხაზეთის რესპუბლიკის ენერგომომარაგების ოპტიმიზაციის გეგმას – ე.წ. „საგზაო რუკასაც“, გასაგები ხდება, რისკენ მიჰყავთ აფხაზეთი.

2021 წლის ივლისში რუსეთ-აფხაზეთის მთავრობათაშორისი კომისიის სხდომაზე მიღებული ამ დოკუმენტის თანახმად, რომელიც სრული სახით დღემდე არავის უნახავს, თავად ამ კომისიის წევრების გარდა, 5 წლის განმავლობაში, რესპუბლიკაში ელექტროენერგიის ტარიფი რუსეთში მოქმედის ოდენობამდე უნდა გაიზარდოს, ან გადააჭარბოს კიდეც. თავად ენერგეტიკული დარგის ობიექტები მოდერნიზებას დაექვემდებარება და რუს ინვესტორებს გადაეცემა. თუმცა არსებობს ერთი წინაღობა – აფხაზეთში მოქმედი კანონი, რომელიც სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ენერგოობიექტების გასხვისებას კრძალავს.

**როგორ აპირებენ კანონისთვის გვერდის ავლას და რა ცვლილებებს მიიღებენ, რომ რუსებმა, ბოლოს და ბოლოს, ხელში ჩაიგდონ აფხაზეთის ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგი, ჯერ უცნობია. სულ ცოტა ხნის წინ კარგად აპრობირებული სქემით შემოთავაზებულ იქნა გრძელვადიანი (49-წლიანი) იჯარით გადაცემის ვარიანტი, რაც აფხაზურ რეალობაში არსობრივად, დიდად არ განსხვავდება გასხვისებისგან და არც ის ვიცით ვინმემ, სად და როგორ ვიქნებით 50 წელიწადში. მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.**

**რომ დავფიქრდეთ, რუსეთს აფხაზეთისადმი ტერიტორიული პრეტენზიებიც აქვს – აიბღა. მდინარე ფსოუზე გამავალი ხიდი, რომელიც რუსეთსა და აფხაზეთს აკავშირებს, უკვე რუსების საკუთრებაშია გადაცემული. სამხედრო ბაზები რესპუბლიკის ტერიტორიის ლამის მეოთხედ ნაწილს იკავებს. ზღვისპირა ტერიტორიების საუკეთესო ნაწილი უკვე რუს ჩინოსნებსა და ოლიგარქებს ეკუთვნით. ერთადერთი აეროპორტი უკვე ასევე მოსკოვის ხელშია. რჩება მხოლოდ ენერგეტიკა. ამ საკითხის გადასაჭრელად რუსეთი, როგორც ჩანს, უკვე გადამჭრელ ზომებზე გადავიდა და მიზნის მისაღწევად მზადაა, მთელი აფხაზეთი დააჩოქოს!**

**კრისტინა ავიძბა,**

(ტექსტი შეიცავს ტოპონიმებსა და ტერმინოლოგიას, რომელიც ოკუპირებულ აფხაზეთში გამოიყენება)

# უმეცრება, ამორალურობა, საცოდაობა...

(პირველი გვერდიდან)

**ორგანიზაცია „ახალი სერვისის“ მხრიდან დახმარებას იღებს ოჯახის რამდენიმე ათეული ახლობელი და ახლო ნათესავი, მათ რიცხვში მოხვდა ბატონი იური ნოზაძის მეუღლეც. ამ უკანასკნელმა კი, როგორც კანონმორჩილმა მოქალაქემ, აღნიშნული დააფიქსირა თავის ყოველწლიურ დეკლარაციაში. თითქოს ყველაფერი ნათელია და ამ თემაზე კომენტარი ადრეც უამრავჯერ გაკეთებულა.**

**მიუხედავად ამისა, თვითმარქვია „გამომძიებლებმა“ ეს ბანალური გარემოება წარმოაჩინეს მორიგ სენსაციად და ახალი უსუსური სიუჟეტი გამოაცხვეს საკუთარი მრევლის გულის გასახარებლად. როგორც ხედავთ, „ტვ პირველის“ საფირმო სტილი ყველაფერში დაცულია. ფსევდობრალდებების მეორე ნაწილი ეხებოდა კვიპროსელ იურისტს - ქრისტოდოლუს ვასილიადის. პროპაგანდის დიდოსტატებმა, აურიეს რა ერთმანეთში ღია ტყუილი და ნახევრად სიმართლე, შეფუთეს ეს ყველაფერი გაუგებარი ფრაზებით, დაადეს ყველაფერს დრამატული სასერიალო მუსიკა და აქაც მორიგი მსოფლიო შეთქმულება აღმოაჩინეს! სიმართლე კი, როგორც ყოველთვის, ძალზედ პროზაული და ბანალურია. ხსენებული კვიპროსელი იურისტი წარმოადგენს ჩვეულებრივ სამეწარმეო რეგისტრატორს. მისი სერვისებით სარგებლობს ათასობით კომპანია მთელი მსოფლიოდან. ერთადერთი შეხება „ქართუს“ სტრუქტურებთან შემოიფარგლებოდა იმ ფაქტით, რომ ის აწარმოებდა კომპანიის სარეგისტრაციო**




**მომსახურებას. მისი დასანქცირება არაფერ კავშირშია არც ბიძინა ივანიშვილთან და არც „ქართუს“ რომელიმე კომპანიასთან. იმის მიუხედავად, რომ სიტუაცია და კანონმდებლობა ამას არ მოითხოვდა, „ქართუმ“ მასთან კავშირში მყოფი ორგანიზაციების სხვა რეგისტრატორთან გადასვლა მოახდინა, რითაც ინციდენტი თვისობრივად ამოიწურა, მაგრამ არა „ტვ პირველისთვის“.**

**უფრო გასაგები რომ იყოს ფართო მაყურებლისთვის მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს: წარმოიდგინეთ, რომ თქვენ, როგორც უამრავი სხვა კლიენტი სარგებლობთ რომელიმე ბანკის მომსახურებით. რაღაც მომენტში ბანკს რომ გაუჩნდეს რაიმე სამართლებრივი დავა ან/და მოჰყვეს სანქციებში თანაც თქვენგან სრულიად დამოუკიდებელი მიზეზების გამო, რამდენად შესაძლებელი იქნება ამაზე დაყრდნობით თქვენს ბრალეულობაზე საუბარი? არადა, სწორედ ამას აკეთებენ „ტვ პირველის“ ჟურნალისტები. დარწმუნებული ვართ, მათ მშვენივრად ესმით მსგავსი ბრალდებების აბსურდულობა, მაგრამ ასე სჭირდება მათ დამკვეთს და ისინიც ასრულებენ.**

**ეს ყველაფერი ჩვენი მხრიდან მრავალჯერ თქმულა. ყველაფერზე გაცემულია შესაბამისი კომპეტენტური და ამომწურავი ახსნა-განმარტება. ამის მიუხედავად, რეგულარულად ხდება ფაქტობრივად ერთი და იგივე, თითიდან გამოწოვილი, ბრალდებების წარდგენა. გაუთავებლად მანტრასავით ატრიალებენ გაცვეთილ თემებს. ყოველივე ეს მკაფიოდ ახდენს ჟურნალისტიკის სავალალო მდგომარეობის ილუსტრირებას და ასახავს მსგავსი სიუჟეტების ავტორთა პროფესიონალურ უმეცრებას, ამორალურობასა და საცოდაობას.**

**ვინაიდან ასე დაჟინებით ირგებთ საგამოძიებო ჟურნალისტიკის კორიფეთა მანტიას, ჩვენც გვაქვს თქვენდამი შემხვედრი კითხვა და წინადადება: ხომ არ გამოიძიებდით ჯერ თქვენი დამფუძნებლების ფინანსების წარმომავლობის საკითხს და გაიგებდით, ხელფასებს ვინ გირიცხავთ? სანამ სხვისი საქმეებით დაინტერესდები, საკუთარი ხომ უნდა გქონდეს საფუძვლიანად შესწავლილი!“...**




# პოლიტიკაში მოფარფატე რომან გოცირიძის მზაკვრული გეგმა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გაუქმებისა!..

როგორც მკითხველს მოეხსენება, ბატონი რომან გოცირიძე დიდი ხანია ფარფატებს ქართული პოლიტიკის თავანზე და მისი ბედიც ისაა, რომ ისტორია ხშირად თავის მდინარებაში ადგილს უთმობს ასეთ „მოღვაწეებს“, ადამიანებს, რომლებშიაც მთლიანადაა დაძირული ქვეყნის ინტერესები და მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის არსებობენ.

**რომან გოცირიძე – მხედრიონის თანამგრძნობი და სახელმწიფო საბჭოს წევრი, მთლიანად ინაწილებს იმ პასუხისმგებლობას, რაც ამ დანაშაულებრივ ჯგუფს და მის წევრებს მიუძღვით ქართველი ხალხის წინაშე.**

რაც შეეხება ეკონომიკას და ფულადსაკრედიტო პოლიტიკას (რისი სპეციალისტიც ის გახლავთ), ამ დარგში მიღწეული ქართული ფსევდოვალუტის „კუპონის“ შემოღება და დამკვიდრება მისი შემოქმედების მწვერვალს წარმოადგენს...

ესაა და ეს. სხვა, ძნელია ვინმემ მოიძიოს ბატონ გოცირიძის ხანგრძლივ მოღვაწეობაში ერთი ისეთი ფაქტი, რომელსაც წინ დაეძრას ქართული ეკონომიკა და რაიმე არსებითი ძვრა შეეტანოს მის წინსვლაში. საუბედუროდ, ასეთ ადამიანებს უჩნდებათ პრეტენზია და სურვილი, იოლად შეახონ ხელი ყველაფერს, რაც დააზიანებს ქართულ ტრადიციულ ღირებულებებს, ჩვენს მეცნიერებასა თუ კულტურას. მკითხველისთვის ძნელი არ იქნება, გაიხსენოს სახელები ამ მხრივ გამორჩეული ადამიანებისა, რომლებთაც ამჟამად სათავეში ჩვენი სიწმინდეების გამნიავებელი, ერთი უღირსი პიროვნება უდგას. ბატონი გოცირიძე ამ გუნდის წევრია, ის მათი თანამგრძნობია, მათ ხელში გამოვლილი და დავაჟკაცებული. განა დარჩა რამე საქართველოში სიწმინდე, იმათ რომ არ გაესვართოთ? აბუჩად არ აეგდოთ? ნიჰილიზმის ქარცეცხლში არ გაეხვიოთ? არ ვთვლი საჭიროდ ამ არასასიამოვნო ოპუსების ჩამოთვლით კიდევ ერთხელ გული ვატკინო მკითხველს, მაგრამ იმის აღნიშვნა აუცილებლად მიმაჩნია, რომ ესენი ძალიან შორს წავიდნენ და საჭიროა რაღაც ზღვარი დაუწესდეს ამათ უხამსობას.

ახლა, რაც შეეხება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის რეორგანიზაციის გოცირიძისეულ პროექტს; პირველი და უმთავრესი ის გახლავთ, რომ იგი აყენებს საკითხს აკადემიისთვის შენობის ჩამორთმევის შესახებ, ანუ მას სურს, ამით საბოლოოდ დაასრულოს ძარცვის პროცესი, რომელიც აგერ უკვე 30 წელია მიმდინარეობს აკადემიის მიმართ. ამ ხნის განმავლობაში აკადემიას წაართვეს ყველაფერი, რისი წართმევაც შეიძლებოდა: საკვლევი ინსტიტუტების შენობანაგებობანი, სასწავლო ცენტრები,სამეცნიერო ლაბორატორიები, ბიბლიოთეკები. სააკაშვილის უტიფარი გამონათქვამი, ქართველ მეცნიერთა შესახებ, პრაქტიკულად განახორციელეს, რის ნიმუშადაც მოვიტან ქართული სამეცნიერო სკოლის ფლაგმანის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტისთვის შენობის წართმევას, ინსტიტუტის წევრთა შენობიდან გამოყრა-გამოსახლებას და სადღაც ბუდრუგანაში ჩასახლებას, რათა ეს ძველი და ავტორიტეტული სამეცნიერო სკოლა ფიზიკურად და გონებრივად დაენგრიათ და მის ადგილას სასტუმრო აეშენებინათ. ააშენეს კიდევაც და დღეს ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, სიმონ ჯანაშიას, გიორგი მელიქიშვილის, გიორგი ჩიტაიასა და სხვა დიდ ქართველ მეცნიერთა ნაამაგარი ადგილიდან, მეცნიერული პროდუქციის მაგიერ, მოედინება ფული, რომელშიაც შესაძლოა გოცირიძემ მაშინ ვერ აურია ხელი, მაგრამ ახლა აპირებს დანაკარგის ანაზღაურებას და წინადადებას აყენებს, აკადემიას ჩამოერთვას რუსთაველის გამზირზე მდებარე შენობა.

**ნაცების ათას სიბინძურეში გასვრილი „რეფორმატორი“ ისევ სააკაშვილის ინერციაზეა „მომართული“ და ავიწყდება, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მეტი გულისხმიერებითაა განმსჭვალული ქართული მეცნიერების მიმართ და არა მგონია მის სანუკვარ გეგმას ასრულება ეწეროს.**

მეორე პრობლემა, რომელსაც ბატონი გოცირიძე შეუშფოთებია, ესაა აკადემიკოსების ხელფასი, ანუ 1500 ლარი, რომელსაც ისინი ხელზე იღებენ და აღშფოთებით შენიშნავს, რომ აკადემია დიდი ხანია ბიუჯეტის ზრდის ტენდენციით გამოირჩევაო. ეს თანხა – 1500 ლარი, დღეს რა მსყიდველობითი უნარისაა და რა ბედნიერების მოტანაც შეუძლია ადამიანისათვის, მკითხველმა განსაჯოს, მე კი იმას ვიტყვი, რომ ცრუმოხელე გოცირიძეს, რომელსაც არასდროს, არაფერი სარგებელი არ მოუტანია თავისი ქვეყნისთვის, ამჟამად აკადემიკოსზე ხუთჯერ მეტი ხელფასი აქვს. ეს ხელფასი! და ახლა არასამთავრობოებთან ძმობითა და თანამშრომლობით რამდენი აქვს გამომუშავებული, ეს საქართველოს მტრობით ვერდაღლილმა მისმა თანაპარტიელებმა იციან მხოლოდ.

## დეპუტატი რომან გოცირიძე პარლამენტს, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „რეორგანიზაციას“ სთავაზობს.




ნახეთ, რამოდენა ამბიცია აქვს სიხარბისგან გაცვეთილ ამ პიროვნებას, რა სიამაყე გააჩნია ასეთი, თავისი მოღვაწეობის შესაფერისად 7-8 ათასი ლარი რომ მიაჩნია სამართლიანად და აკადემიკოსებისათვის 1500 ლარიც კი არ ემეტება.

გოცირიძე ქვეყნის გასაგონად გაჰკივის „აკადემიაში ბიუჯეტის ზრდის ტენდენცია შეიმჩნევაო“, განა საკითხავი არაა, თუ რა გააკეთა გოცირიძემ ისეთი, რაც მისი შემოსავლების პროპორციის გათვალისწინებით, ასე აჭარბებს როინ მეტრეველის, გიორგი კვესიტაძის, რამაზ ხუროძის, ინესა მერაბიშვილის, ელიზბარ ჯაველიძის, მინდია უგრეხელიძის, რისმაგ გორდეზიანის, ელგუჯა ხინთიბიძის, ავთანდილ კორახაშვილის, რამაზ ხეცურიანის, ალექსანდრე ნერსესიანის და სხვა დამსახურებული აკადემიკოსების ღვაწლს?

ბატონი გოცირიძე თავისი „პროექტის“ საშუალებით, ხვანჯებში გახვეული აზრით, აკადემიის საბოლოო ლიკვიდაციასაც აანონსებს. კერძოდ, მისი პროექტის მიხედვით, აკადემიის იმ წევრებს, რომლებიც შესაბამის სტატუსს (ანუ აკადემიკოსობას) მის მიერ წარდგენილი კანონის ძალაში შესვლის შემდეგ მიიღებენ, ანაზღაურება არ ექნებათ, აკადემიის ახლანდელ წევრებს კი ხელფასს სიცოცხლის ბოლომდე უნარჩუნებს. არავინ იფიქროს, რომ ეს სიკეთით მოსდის. მისი მზაკვრული გაანგარიშება ასეთია:

**1. ანაზღაურების გარეშე აკადემიკოსად გახდომა დაკარგავს ინტერესს;**

**2. მისი ფიქრით, ათ წელიწადში მაინც, ყველა ამჟამინდელი აკადემიკოსი იმქვეყნიურ სამყაროში გადაინაცვლებს. წამსვლელები წავლენ, მომსვლელები არ მოვლენ და აკადემიაც გაუქმდება.**

აი, ასე შეაზავა და შეალამაზა ქართული მეცნიერების დასაფლავების გეგმა ამ უდღეურმა რეფორმატორმა, ეს ახლა, როცა მარტო ლაპარაკის საშუალება აქვს, თორემ რეალური ძალა რომ ჰქონდეს, როგორც კალიგულა ნატრობდა, ერთი მოქნევით მოჭრიდა თავს ქართულ მეცნიერებას და ახალ ეტაპს ჩაუყრიდა საფუძველს, რომლის პირველ ნიშნად, რა თქმა უნდა, სააკაშვილის ბოტასების მუზეუმი უნდა ვიგულისხმოთ. აი, რითი აპირებს „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი მსოფლიოს გააცნოს ჩვენი კულტურა და მეცნიერული მიღწევები.

გოცირიძე პირველი არაა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას რომ უტევს.

როგორც ჩვენს პოლიტიკურ სივრცეში, ისე,ზოგადად, ვისაც არ ეზარება და სხვათა განქიქების სურვილი ხასიათში აქვს გადასული, აკადემია მოძველებულ, ყავლგასულ და საერთოდ უფუნქციო დაწესებულებად მიაჩნია, ზოგი იმითაა გაღიზიანებული აკადემიკოსად გახდომის შანსი რომ არა აქვს და ზოგიც „ახალი ხელოვნების“ ტკბობითაა შეპყრობილი და მათი პერფორმანსები, რომლებიც შოკში აგდებს ჩვენს საზოგადოებას, ყოველგვარი შემეცნებისა და აკადემიურობის წინააღმდეგაა მიმართული. ეს ხალხი, აგერ უკვე ათწლეულებია, ქადაგებს ეროვნულ და რელიგიურ ნიჰილიზმს, ცინიზმს, ამორალობას (გაიხსენეთ სამხატვრო აკადემიის რექტორისგან მოწყობილი პერფორმანსი, რომლის მსვლელობისას ეს ანგელოზისსახიანი ქართველი ბავშვები ერთმანეთს სახეში აფურთხებდნენ), როგორ უნდა შეთავსდეს ამ ადამიანთა აზროვნება და ცხოვრების წესი, ზოგადად, ქართულ მეცნიერებასთან და კერძოდ აკადემიასთან?

**აკადემია ხომ ერთ-ერთი დაბრკოლების ლოდია მათთვის ქართული კულტურის განიავების გზაზე. რაზეც ხელი მიუწვდათ, ხომ დაანგრიეს: სამეცნიერო ხარისხი გააუქმეს,ცნობილი მეცნიერები და ლექტორები კვლევითი ლაბორატორიებიდან და აუდიტორიებიდან გამოყარეს, სწავლის პროცესი ჩალის ფასად აქციეს, მოსწავლე მასწავლებელზე გააბატონეს, სახელმძღვანელოები დაამახინჯეს და ზოგადად სწავლა აქციეს ხუმრობის საქმედ. ერთი ეს აკადემია შემორჩათ დღემდე, რომ ვერ გააუქმებიათ და იქ თავისი ინტერესები ვერ დაუკმაყოფილებიათ.**

საინტერესოა, რომელ სიზმარში ესიზმრა გოცირიძეს, რომ აკადემიას, ხაზეიშვილის დონეზე ესაუბროს, რა განათლება, რა ცენზი და რა დამსახურება აქვს ამ პიროვნებას, რომ ასე, ერთი ხელის დაკვრით, აუქმებდეს სამეცნიერო ინსტიტუციას, რომლის ისტორია, წარსული, აწმყო და მომავალი დატოლებულია ქართველი ერის გონებრივ შესაძლებლობასთან!

**მე მოვუწოდებ ამ თავგასულ პარლამენტარს, საქართველოში ერთი დაწესებულება მაინც დამისახელოს ისეთი, რომელიც მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას აღემატებოდეს გაკეთებული საქმით, საერთაშორისო ავტორიტეტით, სამშობლოს მიმართ გაწეული ღვაწლით და პატრიოტიზმით. საბედნიეროდ, ეს თვისებანი ჯერ კიდევ დაფასებულია ჩვენს ქვეყანაში და ნაციონალური მოძრაობის იდეური მამები მათ გაუფასურებას ვერასდროს შეძლებენ.**



**ელდარ ნადირაძე,**
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.
9.12.2023



ბოლო წლებში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოურ კონტაქტებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, ასე ვთქვათ, „ჩინური ვექტორი“, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარებისთვის. ერთი ასეთი უაღრესად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი კონტაქტი ქართველ და ჩინელ მეცნიერებს შორის ცოტა ხნის წინათ შედგა, როცა ჩვენი სწავლულთა დელეგაცია ვიზიტად ჩინეთში გახლდათ მიწვეული, რომლის შემადგენლობაში იყვნენ აკადემიის გენერალური მრჩეველი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე და აკადემიკოსი თინათინ სადუნიშვილი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მივლინების შესახებ გვესაუბრება აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე.

### გიორგი კვესიტაძე:

# საქართველოსა და ჩინეთის სამეცნიერო თანამშრომლობას კარგი მომავალი აქვს!



შანდუნის ტექნოლოგიის უნივერსიტეტი, აგრარული და კვების მეცნიერების კოლეჯი, დოქტორ იუანდა სონგთან

**– ბატონო გიორგი, გვიამბეთ თქვენი ვიზიტის მთავარი მიზნის შესახებ.**

– ჩვენი აკადემიის მცირერიცხოვანი დელეგაციის ვიზიტი შედგა ჩინეთის რამდენიმე წამყვანი უნივერსიტეტის მიწვევით და, ისევე, როგორც ყველა ურთიერთობა იქაურ კოლეგებთან, სამეცნიერო თუ სამეურნეო სფეროს წარმომადგენლებთან მეტად შინაარსიანი და წარმატებული იყო. ჯერ კიდევ ვიზიტის დაწყებამდე, ცნობილი იყო, რომ მივლინების მთავარი მიზანი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ჩინეთის რამდენიმე წამყვან უნივერსიტეტს შორის სამომავლო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე მოლაპარაკებების გამართვა და შესაძლო შეთანხმებებისა და კონტაქტებისთვის სათანადო საფუძვლის მომზადება იყო.

საგანგებოდ უნდა გითხრათ, რომ ახლანდელი მივლინება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩემთვის რიგით მეცამეტე გახლდათ, ამდენად, იმის საფუძველი რათა მეფიქრა, რომ ამ უზარმაზარ ქვეყანას მეტ-ნაკლებად ვიცნობდი, ნამდვილად მაქვს, მაგრამ ყოველ ჩასვლაზე სულ უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ იმ ტემპს, რომლითაც ის წინ-წინ მიიწევს, მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია.

**– წეღან თქვენ აღნიშნეთ, რომ რამდენიმე უნივერსიტეტმა მიგიწვიათ. სად იყო თქვენი პირველი გაჩერება?**

– თავდაპირველად შანდუნგის ტექნიკურ უნივერსიტეტს ვეწვიეთ, რომელიც ათმილიონიან ქალაქ ძინიანშია. მისი მოღვაწეობის მასშტაბზე ზერელე წარმოდგენა მაინც რომ შეგექმნათ, გეტყვით, რომ მას... საკუთარი აეროდრომიც კი აქვს! მის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობების შედეგად, ჩამოყალიბდა აზრი, რომ ახლო მომავალში მათ სერიოზული პარტნიორული ურთიერთობები დაამყარონ საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტთან, რაც, პირველ ყოვლისა, გამოიხატება ახალი ტექნოლოგიების შექმნაში, ძველების დახვეწა-მოდიფიცირებასა და მათ ერთობლივად გამოყენებაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება გახლავთ, რადგან შანდუნგის უნივერსიტეტი ინოვაციების მძლავრი, ფინანსურად ძლიერი ორგანიზაციაა, ამდენად, ჩვენი პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერთა ახალი იდეებისა და პროექტების ფრთაშესასხმელად ეს მეტად ხელშემწყობი პირობა იქნება. უფრო კონკრეტულად კი, დაახლოებით თხუთმეტ ახალ ტექნოლოგიაზე იყო წინასწარი საუბარი, რომელთაგან უმეტესობა მოწონებულ იქნა...

შემდეგი ეტაპი იყო ყვითელი ზღვისპირა საკურორტო ქალაქი იანტაი, სადაც მეღვინეობასაც კი მისდევენ, რომელიც საკმაოდ კარგადაა განვითარებული. ამასთან, უნდა გითხრათ, რომ მაღალი ხარისხის მიუხედავად, იანტაიში წარმოებულმა ღვინოებმა პირადად ჩემზე მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინეს, რაც არც მასპინძლებისთვის დამიმალავს და აქაც მინდა გავუსვა ხაზი. ამასთან, აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ მეღვინეობა იქ იმდენად სწრაფად და სწორი მიმართულებით ვითარდება, რომ უაღრესად ხელსაყრელი კლიმატურ-ნიადაგობრივი გარემოს პირობებში, ახლო პერსპექტივაში, ჩინური ღვინო აუცილებლად საკადრისი ხარისხისა იქნება.

გარდა ამისა, იანტაიში გაიმართა შეხვედრა ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებთან, რომლის დროსაც ერთ-ერთი მთავარი განხილული საკითხი მეტალურგიის სფეროში სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები იყო. ამ მიმართულებით ამჟამადაც ინტენსიური მუშაობა ორივე მხრიდან მიმდინარეობს.

მივლინების შემდეგი პუნქტი იყო ჩინეთის შუაგულში ქალაქ ქსენიანის უნივერსიტეტი, სადაც ჩინური ენოლოგიის (ანუ მეღვინეობის) განვითარება დაიწყო. მისი ფუძემდებელი სწავლული ქალბატონი ლიუ შინი გახლავთ, რომელსაც საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის. სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, მის მიერ ნაჩუქარი ადგილობრივი ღვინოების კოლექციის საქართველოში ჩამოტანა ვერ შევძელი. სავარაუდოა, რომ ახლო მომავალში შედგება პროფესორ ლიუ შინის შეხვედრა ქართველ მეღვინეებთან, რასაც ორივე მხარისთვის საუკეთესო შედეგი მოჰყვება.

გასათვალისწინებელია ის მომენტიც, რომ პროფესორი ლიუ შინი ჩინეთში მეღვინეობის ლიდერია, ხელმძღვანელობს ძალიან ძლიერ ლაბორატორიას, აქვს შესანიშნავი მიღწევები. იგი ძლიერ დაინტერესებულია ქართული მეღვინეობით, მისი განსაკუთრებული ინტერესის საგანია ჩვენებური „საფერავი“ და ქვევრის ღვინო.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მისი და სოფლის მეურნეობის სხვა ჩინელი სპეციალისტების ინტერესი საქართველოსადმი, სავსებით გასაგებია: ჩვენში, ციდა ტერიტორიაზე, ხომ 29 კლიმატური ზონაა გავრცელებული! მაგალითისთვის გეტყვით, რომ მთელი ევროპა – პორტუგალიიდან შვედეთის უკიდურეს ჩრდილოეთ წერტილამდე – მთლიანად 34 ნიადაგობრივ-კლიმატურ სარტყელს მოიცავს!

ამის მერე გახლდით 26-მილიონიან გუანჯოუში, სადაც ქალაქის შუაგულში განთავსებულ სამხრეთ ამერიკის აგრარულ უნივერსიტეტს გარშემო ათობით ჰექტარი... საკუთარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები აკრავს! როცა ვიკითხე, კი მაგრამ, ამ ბაღ-მინდვრების ქალაქგარეთ გატანა არ შეიძლებოდა-მეთქი, მიპასუხეს: არა, ბატონო, უმჯობესია ქალაქს ჰაერის ფილტრი და ჯანსაღი ფილტვები ჰქონდესო! ისიცაა გასაოცარი, რომ გუანჯოუს უნივერსიტეტი მე-18 საუკუნეშია დაარსებული და დღესდღეობითაც მეტად ძლიერი სამეცნიერო-შემოქმედებითი კოლექტივითაა გამორჩეული. იქ ჩვენ გვახლდა პროფესორი ლანი – სოფლის მეურნეობაში, ეკოლოგიაში, კვების მრეწველობაში ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად მოღვაწე მეცნიერი. მის მიერ შესრულებული სამუშაოები მეღვინეობაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას ღვინის მწარმოებელი ევროპის მთავარი ქვეყნების მეცნიერები უდიდეს პატივს მიაგებენ. პროფესორ ლანის სამეცნიერო კვლევების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ღვინოში შემავალი უნიკალური ნაერთების გამოვლენა-შესწავლა და ადამიანის ორგანიზმზე მათი ზემოქმედების შესწავლაა.

**– გარდა უნივერსიტეტების ხელმძღვანელებთან, კოლეგებთან თუ ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრებისა, რით იყო თქვენი მივლინება კიდევ ღირსშესანიშნავი?**

– გარდა ამისა, ქალბატონმა თინათინ სადუნიშვილმაც და მეც წავიკითხეთ საჯარო ლექციები, მოლეკულურ ბიოლოგიასა და ბიოქიმიაში, რომლებმაც მსმენელთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. წარმოიდგინეთ – ყოველი ლექცია დაახლოებით 40-45 წუთი გრძელდებოდა, მის შემდგომ კითხვა-პასუხს კი დაახლოებით ორ-ორნახევარ საათს ვანდომებდით! ჩავატარეთ ასევე სემინარები, უშუალოდ ვესაუბრეთ სტუდენტებს, რა დროსაც მათ საქართველოსთან თანამშრომლობის დიდი სურვილი გამოთქვეს.

საერთოდაც, უნდა გითხრათ, რომ საქართველოს მიმართ ჩინეთში ძალიან დიდ ინტერესს იჩენენ, დიდია სხვადასხვა სფეროში ჩვენთან კავშირების დამყარების სურვილი. თანამშრომლობის ასეთ დიდ სურვილსა და მონდომებას სხვაგან იშვიათად თუ შევხვედრივარ. საქრთველოსთან, ქართულ მეცნიერებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო იდეებს ჩინელები სიამოვნებით ეცნობიან.

**– საბოლოოდ, რა შედეგი მოიტანა ჩინეთში თქვენმა მივლინებამ?**

– თუკი საქმე დაჯამებაზე მიდგა, აღსანიშნავია, რომ, მართალია, ჩვენი საგნობრივი საუბრები ჩინელ კოლეგებთან ბევრ ტექნოლოგიას ეხებოდა, თუმცა პრაქტიკულ მუშაობას უახლოეს მომავალში რამდენიმე მათგანზე ვიწყებთ. კერძოდ, ჩინელები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ნარჩენების უტილიზაციის მიმართ, მათგან ხელმეორედ გამოსაყენებლად გამოსადეგი მასალების, მაგალითად სასუქების მიღების ტექნოლოგიების შექმნით და სხვ.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ ჩვენს თანამშრომლობას ძალიან კარგი მომავალი აქვს.

ესაუბრა
**ოთარ ტურაბელიძე**

საგულისხმო წინადადება

# ტყიბული საქართველოს კიდევ ერთი სამრეწველო კვანძი რომ გახდეს!

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ირ. ჟორდანიას სახელობის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მინერალური და ენერგეტიკული რესურსების განყოფილების წამყვანი სპეციალისტების პერსონალმა ლაბორატორიული შესწავლის დონეზე, დაამთავრა კვლევები, რომლის შედეგადაც მანამდე ცნობილი „ფუჭი“ ქანების – არგილიტების, თიხების, გამამდიდრებელი ქარხნის „კუდების“, შლამის, ნაცრის გამოყენებით შესაძლოა ვაწარმოოთ სამშენებლო და ცეცხლმედეგი აგური, „მეტლახის“ ტიპის ფილები, თიხა-მიწა, ალუმინი და მისი შენადნობები – ფეროსილიკოალუმინი, სილუმინი, ასევე ცემენტი, ორგანული-მინერალური სასუქი („ჰუმატები“ და სხვა).**

ამრიგად, ნახშირთან ერთად, აღნიშნული „ფუჭი“ ქანების გამოყენებით, ჩვენი მეშახტეთა ქალაქის ნედლეული შეიძლება განვიხილოთ, როგორც მრავალპროფილური რესურსი, რომლის დამუშავებითაც მიიღება მრავალი პროდუქცია.

ტყიბულში არსებობს ნახევრად დანგრეული მუზეუმის შენობა, რომლის მოწესრიგებით შესაძლოა ტურიზმის განვითარება (თვით ქალაქში და შემოგარენ სოფლებში, გელათში, ორპირში, მოწამეთაში, სადაც მრავლადაა ისტორიული არტეფაქტები, გიშრის სამკაულები (მათ კუსტარულად ამუშავებენ). მუზეუმში შესაძლოა გაიხსნას სავაჭრო სალონები, გაიყიდოს ბუკლეტები, სამკაულები და სხვ.



ტყიბულის ანალოგიური და უნახშირო არგილიტები (ბერძნულად არგილოს თიხას ნიშნავს, ხოლო „არგილიტი“ გაქვავებული თიხაა), ცნობილია ასევე სოფლებში – ჯვარისა, სორმონი, სადაც მათი მოპოვება შესაძლებელია ღია კარიერული წესით.

მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის“ თავიდან ჩამოყალიბება, მისასალმებელია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ როგორც ნახშირის, ასევე დღემდე ცნობილი „ფუჭი“ ქანების დამუშავებით, წარმოება გახდება უსაფრთხო, რენტაბელური, ეკოლოგიურად სუფთა, ხოლო მოსახლეობა სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფილი და სოციალურად დაცული.

**გიორგი მაღალაშვილი,**
ცენტრის მინერალური და ენერგეტიკული განყოფილების გამგე, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
(ტ. 599401542)



## გურამ პეტრიაშვილი

# ჩემი ზღაპრები და უფლებები, ანუ რატომ წამოვედი „პალიტრა L“-ის გამომცემლობიდან

**ჩვენი ურთიერთობის დასაწყისი ჩინებული იყო.**

**ჩემი მეგობრის, ჟურნალისტ ეთერ ერაძის რჩევით, მივმართე „პალიტრა L“-ს. ეთერი გაზეთ „კვირის პალიტრაში“ მუშაობდა და, ალბათ, მუდამ კარგი ესმოდა გაზეთზეც და გამომცემლობაზეც.**

მივედი „პალიტრა L“-ის დირექტორთან, თინა ასათიანთან. ქალბატონი თინა ძალიან კარგად შემხვდა. ჩვენს საუბარს შემოესწრო გამომცემლობის მთავარი რედაქტორი ნინო დეკანოსიძე. ქალბატონმა თინამ გაგვაცნო ერთმანეთი და ქალბატონმა ნინომ მაშინვე ისე დამიწყო ლაპარაკი, როგორც შინაურ ავტორს.

შემდეგ მე დავიწყე მხატვრის ძებნა, რადგან მიმაჩნია, რომ საბავშვო წიგნისთვის მხატვარი თითქმის იმდენადვე მნიშვნელოვანია, როგორც წიგნის ავტორი (ხანდახან კი – უფრო მეტადაც).

საბედნიეროდ, ერთი თუ ორი თვის შემდეგ, საპატრიარქოს ტელევიზიის ეკრანზე ვიპოვე, ვისაც ვეძებდი.

გადაცემა იყო ნინო ჩაკვეტაძეზე. მისი ნახატებიც აჩვენეს, თვითონაც ილაპარაკა და აშკარად ჩამესმა ყურში ხმა: „აი, შენი ზღაპრების მხატვარი“.

ეს ხმა ერთი საათის შემდეგ დამიდასტურა ერთმა ჩემმა ფანმა. ეს იყო ქალბატონი, რომელსაც ჰქონდა ჩემი „პატარა ქალაქის ზღაპრების“ 1988 წლის გამოცემა და ძალიან მოსწონდა ჩემი ზღაპრები.

რომ ვუთხარი, მინდა, ნინო ჩაკვეტაძეს შევთავაზო ჩემი ზღაპრები-მეთქი, მართლა შეხტა და შემოტრიალდა, აუჰ, რა მაგარი დუეტი იქნებითო.

სხვათა შორის, ამასობაში ქალბატონი ნინო დეკანოსიძის ნაცვლად, მთავარი რედაქტორი გახდა მაია ალუდაური.

ჰო, არა ვთქვი, თუ როგორ დაიწყო ნინო ჩაკვეტაძისა და ჩემი ურთიერთობა.

შევხვდი, გავეცანი და ვუთხარი, ზღაპრებს ვწერ და მინდა, წიგნი დამისურათოთ-მეთქი.

მიპასუხა, სიამოვნებით, რადგან ჩემი საყვარელი მეზღაპრე ხართო.

აღარ მახსოვს, თუ ამის შემდეგ რამდენი ხანი გავიდა და ერთხელ ნინომ ტელეფონში მითხრა, შემიძლია, გაჩვენოთ ნახატებიო.

შევხვდით ერთმანეთს, მიჩვენა და...

დარწმუნებული ვიყავი, მომეწონებოდა, მაგრამ ასეთი კარგი თუ იქნებოდა, ვერც კი წარმომედგინა.

ვუცქეროდი ბედნიერი და უცებ, თითქოს შემეშინდა, არ მოვიდეს ვიღაც ბოროტი და არ წაგვართვას ყველაფერი-მეთქი, ერთ ნახატზე ვუთხარი, ძალიან გთხოვთ, ეს ნახატი მაჩუქეთ-მეთქი.

– კარგი, მიჩუქნია, – მითხრა ნინომ ღიმილით, – ოღონდ, ჯერ წიგნი გამოვცეთო.

გამომცემლობაშიც მომიწონეს, ნინო ჩაკვეტაძე რომ ავირჩიე მხატვრად.

მერე წიგნი ჩინეთში გააგზავნეს დასაბეჭდად.

იქ დაიბეჭდა წიგნი. მერე კი ძალიან კარგად და ჩქარა გაიყიდა. „ბიბლუსის“ ყველა მაღაზიაში, ჩემი თვალითა ვნახე, რომ ბესტსელერების განყოფილებაში იყიდებოდა.

**ამის შემდეგ გაჩნდა ბზარი ჩემსა და გამომცემლობის ხელმძღვანელობას შორის.**

**დაიწყეს ჩემი ზღაპრების გამოცემა სხვადასხვა სათაურით და დაინტერესებულ უცხოელ გამომცემლობებთან საუბრები, ჩემ გარეშე.**

**მე კი ვფიქრობ, რომ როცა ნებისმიერი საუბარი ეხება ავტორის წიგნის გამოცემას, ამ საუბარში ავტორი აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს.**

**და არ არსებობს არავითარი პრინციპი, რომელსაც შეუძლია, ამ კანონის დარღვევა გაამართლოს.**

ვნახოთ კონკრეტულად ჩემი შემთხვევა.

გამომცემლობა, ისე რომ მე არაფერს მეუბნებოდა, თითქოს წინააღმდეგი ვიქნებოდი, ცდილობდა, რომ ჩემი წიგნი გამოსულიყო გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

მიზანი ძალიან კარგია, მაგრამ რატომ არ ატყობინებ ავტორს? ხელს ხომ ნამდვილად არ შეგიშლის! სამაგიეროდ, ცხოვრებაში რა არა ხდება, შეიძლება რომელიმე ამ ქვეყანაში ცხოვრობს ჩემი შორეული ნათესავი, რომელსაც შეუძლია, დაგვეხმაროს კარგი მიზნის განხორციელებაში?

ერთი სიტყვით, მე არაფერი შემატყობინეს და ეცადნენ თავისას.

და ამ წუთას ხელთა მაქვს ჩემი ზღაპრების ორი წიგნი: ერთი ავსტრიული გამომცემლობა „დრავას“ გამოცემული და მეორე, ფრანგული გამომცემლობა „მედუზას“ გამოცემული.





ნინო ჩაკვეტაძე

მაშინ რატომ არა ყვირიხარ ვაშას? – მკითხავს გაოცებული მკითხველი.

ახლავე აგიხსნით, რატომაც.

ავსტრიული წიგნი მართლაც „ვაშას“ ძახილს იმსახურებს, მაგრამ ფრანგული?

ფრანგულად ჩემი ზღაპრების წიგნის გამოსვლას „ვაშას“ ძახილითაც შევხვდებოდი და ტაშის ცემით ხელებსაც დავიღლიდი, მაგრამ ამ წიგნმა არ დამიტოვა საზეიმო განწყობილება.

ჯერ უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე წიგნი გამოცემულია, ასე ვთქვათ, საცდელი ტირაჟით (ათასი ცალი). საცდელი ტირაჟით იმიტომ გამოსცემენ, რათა დააკვირდნენ, როგორ გაიყიდება წიგნი და ამის მიხედვით იფიქრონ, იქნება თუ არა მომგებიანი მისი დიდი ტირაჟით გამოცემა.

ეტყობა, რომ ავსტრიული გამომცემლობა უფრო ენდობოდა წიგნს. ამიტომაც მან მთლიანად ისე დაასურათა, როგორც იყო დედანში, ანუ გამოიყენა ჩაკვეტაძის ილუსტრაციები. ამასთანავე, წიგნში შეიტანა ყველა ზღაპარი და თანაც, ისეთივე თანამიმდევრობით დაბეჭდა, როგორც დედანშია.

ჩემი აზრით, ავსტრიელები სავსებით სწორად მოიქცნენ. დიდი მადლობა მათ.

როგორც ვიცი, ავსტრიული ანუ გერმანულენოვანი გამოცემის რედაქტორად მუშაობდა შესანიშნავი გერმანელი ახალგაზრდა, ფილოლოგი სებასტიან მინკნერი, რომელმაც კარგად იცის ქართული და წაკითხული აქვს ჩემი ზღაპრები. ჩემი ზღაპრების გერმანულად გამოცემის იდეა სწორედ მის თავში გაჩნდა. რამდენიმე წლის წინათ ნინო ჩაკვეტაძემ მითხრა, არის ასეთი კარგი ახალგაზრდა გერმანელი, რომელსაც სურს, გამოსცეს გერმანულად თქვენი ზღაპრები ჩემი ილუსტრაციებითო.

ეს არ გამკვირვებია, იმიტომ, რომ დიდი გერმანელის არტურ ლაისტის შემდეგ თითქმის ტრადიციად იქცა გერმანიაში ქართული კულტურის სიყვარული.

**ახლა კი მივხედოთ ფრანგულ წიგნს.**

ჩემს წიგნს „პატარა ქალაქის ზღაპრები“ შემთხვევით არა ჰქვია.

ამ წიგნში გავაერთიანე „ერთნაირი“ ზღაპრები, რომლებიც ერთმანეთს ჰგვანან თემატურად, ერთნაირნი არიან აგებულებით თუ დეტალებით, თხრობის მანერით და სხვა.

ფრანგმა გამომცემლებმა მაშინვე უარყვეს შეთავაზებული ზღაპრების მნიშვნელოვანი ნაწილი, 11 ზღაპარი 28-დან, ესე იგი მესამედზე მეტი.

ამ უცნაური „შემცირებიდან“ გამომდინარე, უკვე გაუგებარია, არის ეს წიგნი ისევ ჩემი „პატარა ქალაქის ზღაპრები“ თუ არა. მე არ მესმის, თუ რა სჭირს ზღაპარს, რომელსაც ჰქვია „ყირამალა მოსიარულე კაცი“ და ძალიან მადლობელი დავრჩები, თუ ვინმე ლიტერატურის მოყვარული პროფესიონალი დამიმტკიცებს, რითი ჩამორჩება ეს ზღაპარი ფრანგი გამომცემლების მიერ მოწონებულ ნებისმიერ ზღაპარს. ამასვე ვიტყვი ზღაპრებზე: „პატარა დინოზავრი“ და „პიკო და ოლიკო“, „კაცი, რომელსაც წვიმა უყვარდა“...

ახლა კი, ერთ ზღაპარზე მინდა ვილაპარაკოთ. ზღაპარს „ყვავილები“ ჰქვია და შესულია ფრანგულ წიგნშიც. ვისაც ეს ზღაპარი წაუკითხავს, მან იცის, რომ ზღაპრის გმირზე ვწერ – „პატარა ბიჭუნა“-მეთქი.

ნინომ წიგნის დასურათება რომ მაჩვენა, მან სწორედ საოცრად მომხიბვლელი პატარა ბიჭუნა დახატა და ამ ბიჭუნათი მოხიბლულმა ვთხოვე, რომ ეჩუქებინა ნახატი.

სახლში მაქვს ის ნახატი და ვერა ვძღები მისი ყურებით.

ფრანგმა მხატვარმა რატომ დახატა პატარა ბიჭუნა ცამეტ-თოთხმეტი წლის საკმაოდ წამოზრდილ ყმაწვილად?

ნუთუ ქართველმა მთარგმნელმა „პატარა ბიჭუნა“ ასეთ პერსონაჟად აქცია?

არა მგონია. **ვფიქრობ, მხატვარს ჰგონია, რომ პატარა ბიჭუნას დახატავს თუ თითქმის ჭაბუკს, სულ ერთია. როდისმე უნახავს მას, რომ ვინმეს ანტუან დე სენტ ეგზიუპერის პატარა უფლისწული წლოვანებამომატებულ გავშვად დაეხატოს?**

ზღაპარს თავისი ლოგიკა და კანონები აქვს. სიზმრებიდან ყვავილების გამოტანა შეუძლია ბავშვს, რომელიც იმ ასაკისაა, როგორიც დახატა ნინო ჩაკვეტაძემ.

ახლა გამიჩნდა კითხვა, ქართველმა გამომცემლებმა რატომ არ უთხრეს ფრანგებს ეს ყველაფერი და რატომ არ დაიწუნეს ფრანგი მხატვრის ნამუშევარი, რატომ არ დაიცვეს თავისი ავტორის უფლებები?

სიზმრებიდან ყვავილების გამომტანი ბიჭუნას მსგავსი ამბავი სჭირს ფრანგი მხატვრის მიერ დახატულ „ბოლო ზღაპრის“ გმირსაც. ნინო ჩაკვეტაძემ ჩემი ტექსტის შესაბამისად დახატა პატარა ლურჯთვალა გოგონა. ფრანგმა მხატვარმა კი დახატა ქალიშვილი, რომელიც რაღაც გაუგებარ ჟესტს გვიჩვენებს. არაა იგი ის, რომლის თვალების ფერსაც შეიძლება ირეკლავდეს ზეცა.

**იქმნება შთაბეჭდილება, რომ მხატვარს არ ანაღვლებს ნახატის ტექსტთან შეუსაბამობა.**

მაგალითად, ახირებული კაცის ილუსტრაციაზე გაუგებარია, რას უნდა ნიშნავდეს რაღაც დიდი და მსუქანი ფრინველი.

ჩემს ზღაპარში წერია, რომ კაცი აენთო ვარდის ბუჩქის წინ, რომელზეც პატარა ჩიტი ანუ ბულბული ზის. ბულბულმა და ვარდის ბუჩქმა დაიჯერეს, კაცი რომ აენთებოდა. დაიჯერეს და აენთო! ამიტომ გახარებული კაცი მორიდებით დგას მათ წინ მუხლებზე.

ფრანგმა მხატვარმა არ იკმარა, რომ ბულბული ჩასუქებულ, გაუგებარ ჩიტად აქცია, ვარდის ბუჩქიც გააქრო.

ისიც გაუგებარია, რატომ ზის კაცი ფეხმორთხმით! ამითაც რაღაცას ხომ არ გვეუბნება(სამწუხაროდ, მკითხველისთვის გაუგებარს)?

გაუგებარია, რას ნიშნავს დაკლაკნილი ხაზი, რომლის ერთ მხარეს კაცია, მეორე მხარეს კი – ყველაფერი დანარჩენი?

მხატვარმა არ იცის, რომ საბავშვო წიგნის ილუსტრაცია უბრალოდ უნდა ასახავდეს ამბავს, იმის მაგიერ, რომ რაღაც გაუგებარ ვითომ მინიშნებებს აკეთებდეს.

და მაინც, არის ფრანგულ წიგნში ერთი ილუსტრაცია, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს შეუსაბამობებისა და გაუგებრობათა მწვერვალად.

ეს გახლავთ „ბეჰემოთის სიზმარის“ ასეთი ილუსტრაცია:

ბალახებში კრუხივით ჩამჯდარ ბეჰემოთს წინიდან (ალბათ ცხვირზე) აჰკვრია ძალიან დიდი პეპელა.

რა კავშირშია ეს ნახატი ჩემს ზღაპრებთან კი არა, საერთოდ რაიმე ნორმალურ ტექსტთან?

**რატომ დასთანხმდა თინა ასათიანი ასეთი ილუსტრაციებიანი წიგნის გამოცემას?**

**აი, საინტერესო კითხვის პასუხი:**

**დიახ, უცხოელ კოლეგებთან მოლაპარაკებებში მე ხელს შევუშლიდი.**

**და არ დავთანხმდებოდი ჩემი წიგნის აგუჩად აგდებას.**

**ამიტომაც წამოვედი გამომცემლობა „პალიტრა L“- დან.**

◉ პირნათელი

# ხალიჩაზე რჩება



**ქართველმა მოჭიდავემ, ზურაბ დათუნაშვილმა, რომელიც ბოლო დროს სერბეთის სახელით გამოდიოდა, ჯანმრთელობის პრობლემების გამო კარიერა დაასრულა.**

ამის შესახებ 32 წლის სპორტსმენმა განცხადება სოციალურ ქსელში გაავრცელა:

**„მთელი შეგნებული ცხოვრება ჭიდაობისთვის მაქვს მიძღვნილი. ჩემს კარიერაში იყო არაერთი დიდი გამარჯვება და ბევრი იმედგაცრუებაც. ჯერ კიდევ 21 წლის ასაკში შევძელი ჩემს პირველ ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრა და მცირე ასაკში ავისრულე ყველა სპორტსმენის მთავარი ოცნება. ტოკიოს ოლიმპიადის დასრულების შემდეგაც ჩემი მთავარი მიზანი პარიზის 2024 წლის ოლიმპიადა იყო და მისთვის მზადების პროცესში ვიყავი. თუმცა საზოგადოების ნაწილისთვის ცნობილია, რომ გასულ ზაფხულს შემექმნა ჯანმრთელობის პრობლემა და დამჭირდა სასწრაფო ოპერაციაც.**

**სამწუხაროდ, პარიზის ოლიმპიადამდე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ვეღარ ვასწრებ კონდიციების აღდგენას და 32 წლის ასაკში მიწევს აქტიური სპორტსმენის კარიერა დავასრულო, მაგრამ, როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ჩემი ცხოვრება მთლიანად ჭიდაობასთან არის დაკავშირებული და ასე იქნება მომავალშიც. მივდივარ აქტიური სპორტიდან, თუმცა ვრჩები ჭიდაობაში და ვაპირებ, რომ ჩემი 26-წლიანი გამოცდილება მოვახმარო ჭიდაობის განვითარებაზე ზრუნვას როგორც საქართველოსა და სერბეთში, ისე მთლიანად მსოფლიოში. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ ყველას, ვინც ამ ხნის განმავლობაში მგულშემატკივრობდით და ჩემთან ერთად იზიარებდით მარცხისას განცდილ სინანულსა და გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულს“,** – დაწერა მან სოციალურ ქსელში.

შეგახსენებთ, რომ ზურაბ დათუნაშვილი საქართველოს სახელით ორგზის ევროპის ჩემპიონია, ერთხელ კი ვერცხლის პრიზიორი. სერბეთის სახელით მან ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, ერთხელ – ევროპის ჩემპიონატი, თითოჯერ კი ოლიმპიური თამაშების და ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი გახდა.

◉ ტრიუმფი

# რაფსოდია ყინულზე




**2023 წლის 9 დეკემბერი ოქროს ასოებით შევა საქართველოს ფიგურული ციგურაობის ისტორიაში, როგორც გრან პრის ფინალში გამარჯვებული ქვეყნის განსაკუთრებული ზეიმის დღე.**

გრან პრის 2023 წლის ფინალის გამარჯვებული სპორტული წყვილი **ანასტასია მეტელკინა** და **ლუკა ბერულავა** გახდა. ქართულმა დუეტმა 131,63 ქულით თავისუფალ პროგრამაში, მათ შორის ტექნიკური ელემენტების შესრულებისა და კომპონენტების შეფასების ნაწილებში, სპორტულ წყვილებს შორის იუნიორთა სეგმენტში საუკეთესო შედეგი აჩვენა. მათ ორივე პროგრამის ჯამშიც 202,11 ქულით მსოფლიო რეკორდი დააფიქსირეს.

აღსანიშნავია, რომ ფინალში ის წყვილები იყვნენ გასული, რომელთაც წლის განმავლობაში გამართული ეტაპების ჯამური შედეგები ყველაზე მაღალი ჰქონდათ.

დაჯილდოების ცერემონიალი პეკინის ყინულის მოედანზე გაიმართა, სადაც საქართველოს დროშა, მსოფლიოს საუკეთესო ფიგურულ მოციგურავეთა ქვეყნებს შორის, ყველაზე მაღლა აღიმართა.

სპორტულ ცეკვებში მარია კაზაკოვასა და გიორგი რევიას 2018 წლის 8 დეკემბერს ფინალში გამარჯვებას, ზუსტად 5 წლის შემდეგ, ასეთივე ტრიუმფალური შედეგი მოჰყვა, ამჯერად კი საქართველოს გმირები ანასტასია მეტელკინასა და ლუკა ბერულავას სახით ჰყავს.

◉ ლეგიონერები

# ფერადი პარასკევი

**გემახსოვრებათ, რომ შარშან ნაპოლიმ ორივე მატჩი მოუგო იუვენტუსს, ამიტომ სავარაუდო იყო, რომ თავმოყვარეობაშელახული ბებერი ქალბატონი იტალიის მოქმედ ჩემპიონს, რომელიც, ფაქტობრივად, უკვე გამოეთხოვა ტიტულს, თვითონ კი შეუპოვრად იბრძვის სკუდეტოსთვის, სერიოზულ გამოცდას მოუწყობდა.**

ასეც მოხდა – მასიმილიანო ალეგრიმ ვალტერ მაძარის გუნდი პრესინგის მახეში გააბა და ტრადიციული ანგარიშით – 1:0 დასცა (გატი). 0:0-ზე ოსიმენმა **კვარაცხელია** მასპინძელთა მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ, სამწუხაროდ, **ხვიჩამ** ბურთი მიზანს ზემოდან გადააცილა.

მოკლედ, კამპანიელებს ჯერჯერობით ვერც ახალი თავკაცი შველით, თუმცა ისიც სათქმელია, რომ მას ურთულესი კალენდარი დახვდა სადებიუტოდ, ხვალ კი შინ ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტი მატჩი აქვს ბრაგასთან. არ გაუმართლა ლა ლიგაში ვალენსიას, რომელმაც პაულისტასა და გერას გაძევების შემდეგ ვეღარ გაუძლო ხეტაფეს იერიშებს და 88-ე წუთზე ერთადერთი ბურთი გაუშვა – 0:1. აღსანიშნავია, რომ დამარცხების მიუხედავად, შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ **გიორგი მამარდაშვილი** დაასახელეს, რომელმაც სტუმრები რამდენჯერმე იხსნა, მორიგ ტურში ბარსელონასთან კი დისკვალიფიცირებულთა სიმრავლის გამო მათ არანაკლები სირთულე ელით.

წინა ბრძოლებში შემცვლელად ჩაბმული **ბუდუ ზივზივაძის** 3 გოლის შემდეგ იგი მეორე ბუნდესლიგაში კარლსრუეს ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა, თუმცა მისმა პარტნიორებმა ჰანოვერში 2-ბურთიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს – 2:2 და 18 ქულით სახიფათო ზონაში არიან.

**ნბა.** ორლანდო – დეტროიტი 123:91. **გოგა ბითაძემ** 27 წუთში გამარჯვებულებს 13 ქულა, 8 მოხსნა და 2 შედეგიანი პასი შესძინა, ხოლო მეჯიკი თავის კონფერენციაში ისევ ლიდერებშია.

**ევროლიგა.** ვირტუსი – მაკაბი 100:90. **თორნიკე შენგელია** განაგრძობს ტრიუმფალურ სეზონს. ამჯერად მისმა მონაგარმა 34 წუთში 27 ქულა, 8 მოხსნა და 1 პასი შეადგინა, იტალიური კლუბი კი ისევ მე-3 პოზიციას იკავებს.

◉ დებიუტი



# ტოლ-სწორად ვებრძოლეთ

**ჩელენჯ თასზე „შავმა ლომმა“ ისტორიაში პირველი მატჩი ჩაატარა და „მიხეილ მესხზე“ „გლოსტერს“ უმასპინძლა, რომელიც გადახალისებული შემადგენლობით გვეწვია.**

მატჩი, რომელიც დაძაბული გამოდგა, სტუმრებმა 15:10 მოიგეს. აღსანიშნავია, რომ „გლოსტერმა“ ლელო ვერ დადო, მაგრამ გამარჯვებისთვის ჯორჯ ბარტონის 5 ჯარიმაც იკმარა.

„შავი ლომის“ რიგებში ყველა ქულა **ლუკა მატკავას** აქტივშია, რომელმაც თითო ლელო, გარდასახვა და ჯარიმა მიითვალა, თუმცა, თავისი გუნდი მარცხისგან ვერ იხსნა. გადამწყვეტი იყო ბარტონის ჯარიმა 71-ე წუთზე, რომელმაც სხვაობა 5 ქულამდე გაზარდა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ამრიგად, ლევან მაისაშვილის გუნდმა გამოსვლა ტიტულის 2-გზის მფლობელთან ღირსეული წაგებით დაიწყო, მეორე ტურში კი 15 დეკემბერს, სტუმრად „სკარლეტს“ დაუპირისპირდება, რომელმაც პირველი მატჩი „კლერმონთან“ წააგო.

◉ მოწოდება

# ადამიანი – ფეხბურთი



**ამ ვერცხლისწყალივით მოძრავ კაცს მთელი საფეხბურთო ოჯახი იცნობს. მართლაც, ძნელია დედაქალაქში გამართული რომელიმე ოდნავ მაინც პრესტიჟული ტურნირი ვახტანგ ბაქანიძის გარეშე წარმოიდგინო, რომელიც სამაგალითოდ უთავსებს ერთმანეთს ორგანიზატორის, მთავარი მსაჯისა თუ მწვრთნელის ფუნქციებს.**

**მასთან პირადად მე დაახლოებით ნახევარსაუკუნოვანი ტკბილი მოგონებები მაკავშირებს, როცა ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული 57-ე საშუალო სკოლაში გაანაწილეს ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად და ჩვენი ურთიერთობა მასწავლებლისა და მოსწავლის რუტინიდან მალევე გადაიზარდა საყვარელი პედაგოგისა და უფროსკლასელთა მეგობრობაში, რომელსაც თვალისჩინივით ვუფრთხილდებით და დღემდე გრძელდება.**

**საშუალო განათლების სისტემაში დაგროვებულ ძვირფას გამოცდილებას ვახო მასწავლებელი უშურველად უზიარებს სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობას, რაშიც გვერდში უდგანან რექტორატი, თვითმმართველობა და სპორტისა და ხელოვნების ცენტრი, მათი თანამშრომლობით გამართული ასპარეზობების ამსახველ პუბლიკაციებს კი სისტემატურად ეცნობა ჩვენი გაზეთის მკითხველი.**

**ამჯერად გთავაზობთ წერილს, რომელიც მადლიერების გრძნობითაა გამსჭვალული, დასტურად კი გამარჯვებული გუნდის წევრები გამოდგებიან, ვინც აღმზრდელისადმი პატივისცემის ნიშნად მისივე სახელობის ტურნირზე „ბაქანა“ დაირქვეს. დანარჩენს გულითადი სტრიქონებიდან შეიტყობთ.**

გია პლატონიშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობისა და ამავე უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის გიგი შუბითიძის ორგანიზებით ჩატარდა სპორტის დამსახურებული მოღვაწის, ვახტანგ ბაქანიძის სახელობის ტურნირი.

ჩემპიონატმა საკმაოდ დიდი დაინტერესება გამოიწვია, ვინაიდან მონაწილეობა მიიღო 20-მა გუნდმა, რომელიც როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტებით იყო დაკომპლექტებული. ღონისძიების გამარჯვებული გახდა გუნდი „ბაქანა“, რომელმაც ფინალურ ბრძოლაში „All eyes on me“ დიდი სხვაობით ანგარიშით 6:0 დაამარცხა.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშე **თენგო შარიქაძე** გახდა, რომელმაც თავი არაერთი ულამაზესი მოძრაობითა თუ გოლით გამოიჩინა. ტურნირის საუკეთესო მეკარე **თორნიკე ფუტკარაძე** გახდა, რომელმაც ურთულესი დარტყმების მოგერიება შეძლო. რაც შეეხება ტურნირის ბომბარდირს, ეს ნომინაცია **მირიან ჯაფიაშვილმა** მოიგო.

მესამე ადგილი დაიკავა უცხოელ სტუდენტთა გუნდმა „კასანდრა“, რომელმაც მთელი ტურნირის განმავლობაში ღირსეულად იბრძოლა და ყველას თავი შეუპოვრობით დაამახსოვრა.

მატჩის ბოლოს თსსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ ბატონ ვახტანგს მადლობის სიგელი გადასცა, რითაც გუნდმა გამოხატა დიდი მადლიერება წლების განმავლობაში სამედიცინო უნივერსიტეტში გაწეული შრომისა და ღვაწლისათვის.



# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}6$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ივანე ბუიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ივანე ბუიშვილი (პ/ნ 20001056264), თელავი, ს. ქვემო ხოდაშენი, 22-ე ქუჩა №4

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თელავი, ს. ქვემო ხოდაშენი, 22-ე ქუჩა №4 (საკადასტრო კოდი: 53.02.36.402 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 36397.95 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 11 დეკემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 25 დეკემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP94789023;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 947890

6. **მოვალე:** ივანე ბუიშვილი (პ/ნ 20001056264), თელავი, ს. ქვემო ხოდაშენი, 22-ე ქუჩა №4;
თამარ მარუქაშვილი (პ/ნ 08001022347), ახმეტა, ს. მატანი, 29-ე ქუჩა №21
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP94789023; ლოტის ნომერი: 947890).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 25 დეკემბრის 12:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}6$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ონისე არაბიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ონისე არაბიძე (პ/ნ 21001011611), თერჯოლა, ს. ნახშირღელე, ქუჩა №6, სახლი №32

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თერჯოლა, ს. ნახშირღელე, ქუჩა №6, სახლი №32 (საკადასტრო კოდი: 33.04.34.190)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 14549.26 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 8 დეკემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 22 დეკემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP994730923;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 947309

6. **მოვალე:** ონისე არაბიძე (პ/ნ 21001011611), თერჯოლა, ს. ნახშირღელე, ქუჩა №6, სახლი №32.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP94730923; ლოტის ნომერი: 947309).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 22 დეკემბრის 12:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}6$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ეკატერინა მიქაუტაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ეკატერინა მიქაუტაძე (პ/ნ 62004026667), ხობი, გოგებაშვილის 58

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
წყალტუბოს რაიონი, სოფელი გუმბრა (საკადასტრო კოდი: 29.09.41.397 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 48477.23 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 8 დეკემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 22 დეკემბერი, 14:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP94733523;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 947335

6. **მოვალე:** ეკატერინა მიქაუტაძე (პ/ნ 62004026667), ხობი, გოგებაშვილის 58;
ოთარ მიქაუტაძე (პ/ნ 58001008406), ხობი, გოგებაშვილის 52
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP94733523; ლოტის ნომერი: 947335).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 22 დეკემბრის 12:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}6$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გოჩა ლომიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გოჩა ლომია (პ/ნ 39001039008), სენაკი, ს. თეკლათი, მშვიდობის ქ. 304

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
სენაკი, სენაკის ადმინისტრაციული ერთეული, ნაკვეთი №398 (საკადასტრო კოდი: 44.01.38.398 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 41496.18 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 8 დეკემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 22 დეკემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP94738323;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 947383

6. **მოვალე:** გოჩა ლომია (პ/ნ 39001039008), სენაკი, ს. თეკლათი, მშვიდობის ქ. 304.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP94738323; ლოტის ნომერი: 947383).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 22 დეკემბრის 12:00 საათამდე.



# მამის მკვლელი მსაჯულებმა გაამართლეს!

**მამის მკვლელობაში ბრალდებული კახა კობახიძე, რომელსაც უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, თორმეტივე ნაფიცმა მსაჯულმა უდანაშაულოდ ცნო. საუბარია გარდაბანში, მაისში მომხდარ მკვლელობაზე, რა დროსაც 21 წლის ახალგაზრდა დააკავეს.** ოჯახის წევრები მაშინ ამბობდნენ, რომ მოკლული სისტემატურად სვამდა და მთვრალ მდგომარეობაში ძალადობდა ცოლზე, ოჯახზე და მათ მოკვლითაც ემუქრებოდა. ცოლი ჟურნალისტებთან საუბრისას აცხადებდა, რომ მისი ქმარი მკვლელობის დღესაც ამ მდგომარეობაში იმყოფებოდა და შვილი იძულებული გახდა თავი დაეცვა:

**„მოვიდა ნასვამი, რის შემდეგაც დაიწყო ჩხუბი, სრულიად უმიზეზოდ, სრულიად უსაბაბოდ. მომსწრენიც არიან მაგისი, დაიწყო ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადმოსვლა. გამოიწვია ჩემი შვილი, ეძახდა — მოდი, აბა დამარტყიო — დანა დაუნახია თვითონ ჩემს მეუღლეს, ეცა ამ დანას, მოდი აბა რას მიზამო. ამის შედეგად წაბორძიკდნენ, დანა წაართვა და ეს დარტყმა როგორ მოხდა, რანაირად მოხდა, მე უკვე არ ვიცი." განუცხადა ჟურნალისტებს მოკლულის ცოლმა. 21 წლის ბიჭი პოლიციას თავად ჩაბარდა და ბრალიც აღიარა. მის წინააღმდეგ გამოძიება 11 პრიმა 109-ე მუხლით მიმდინარეობდა, რაც გულისხმობს ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებაში. ნაფიცი მსაჯულების გამამართლებელი ვერდიქტის შემდეგ, 21 წლის ახალგაზრდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს დარბაზიდან გათავისუფლდა.**



# თინეიჯერს - სამუდამო პატიმრობა...

**17 წლის ითან კრამბლის, რომელმაც 2021 წელს მიჩიგანის შტატის ქალაქ ოქსფორდის სკოლაში 4 მოსწავლე მოკლა, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.**

**ითან კრამბლიმ, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტში 15 წლის იყო, ტერორიზმისა და მკვლელობის მუხლებით წარდგენილ ბრალდებებში თავი დამნაშავედ ცნო. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ითან კრამბლის შეწყალების მოთხოვნის უფლება არ ექნება. 2021 წლის ნოემბერში ითან კრამბლიმ 4 ადამიანი მოკლა და 7 დაჭრა — შემთხვევამ მთელი ოქსფორდი შეძრა, რომელშიც მხოლოდ 22 000 ადამიანი ცხოვრობს. გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობაში ედებათ ბრალი კრამბლის მშობლებსაც. მათ საქმეს სასამართლო 2024 წელს განიხილავს.**



# პრინცი ავიაკატასტროფას შეეწირა

**საუდის არაბეთის პრინცი თალალ ბინ აბდელ აზიზ ბინ ბანდარ ალ საუდი გარდაიცვალა. მედიის ცნობით, პრინცი, რომელიც საუდის არაბეთის სამეფო საჰაერო ჯარების პოლკოვნიკ-ლეიტენანტი იყო, 7 დეკემბერს, აღმოსავლეთ პროვინციაში, F-15 მოდელის ავიაგამანადგურებლის საწვრთნელი ფრენის დროს დაიღუპა.**

**62 წლის პრინცი სამეფოს დამაარსებლის, აბდელ აზიზ იბნ საუდის შვილიშვილი იყო. 2004-2012 წლებში პრინცი ქვეყნის სადაზვერვო სამსახურს ხელმძღვანელობდა.**


# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ლილი არაზოვას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ლილი არაზოვა (პ/ნ 60001055847), ქუთაისი, ზ. ფალიაშვილის 1 შესახვევი №5

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქუთაისი, ზ. ფალიაშვილის 1 შესახვევი №5 (საკადასტრო კოდი: 03.03.21.013 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 4644.45 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 8 დეკემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 22 დეკემბერი, 14:30 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP94736923; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 947369

6. **მოვალე:** ლილი არაზოვა (პ/ნ 60001055847), ქუთაისი, ზ. ფალიაშვილის 1 შესახვევი №5; ელზა ტაბეშაძე (პ/ნ 60002016841), ქუთაისი, ზ. ფალიაშვილის 1 შესახვევი №5.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი".
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP94736923; ლოტის ნომერი: 947369).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 22 დეკემბრის 12:00 საათამდე.


# წმინდა ქართველი მეფე ვახტანგ გორგასალი და წმინდა მოციქული ანდრია პირველწოდებული



**13 დეკემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს ორ დღესასწაულს – წმიდა ანდრია პირველწოდებულისა და ქართველთა მეფის ვახტანგ გორგასლის ხსენებას.**

ანდრია მოციქული წარმოშობით გალილეიდან იყო. იქ მცხოვრები ხალხი გულკეთილობით და სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა. როცა იოანე ნათლისმცემელმა იორდანეს ნაპირებზე ქადაგება დაიწყო, ანდრია იოანე ზებედესთან ერთად იოანე წინასწარმეტყველს გაჰყვა და იმედოვნებდა, რომ თავის სულიერ კითხვებზე პასუხს მის მოძღვრებაში ჰპოვებდა. იმავე ხანებში უფალი იესო ქრისტე იოანე ნათლისმცემელთან მოსანათლად იორდანეზე მივიდა. როცა იოანე ნათლისმცემელმა უფალი იხილა, თავის მოწაფეებს მასზე მიუთითა და უთხრა: **„აჰა ტარიგი ღმრთისაი, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი".** ამის გამგონე ანდრია, იოანესთან ერთად იესოს გაჰყვა. ანდრიამ, რომელიც სხვა მოციქულებზე ადრე გაჰყვა უფალს, პირველწოდებულის სახელი მიიღო. ქრისტეს ამაღლების, სულთმოფენობის შემდეგ ანდრია, სიმონ კანანელთან და მატათასთან ერთად საქართველოში მქადაგებლად ჩამოვიდა.



* * *

**წმინდა კეთილმსახური მეფე ვახტანგ გორგასალი 16 წლის იყო, საქართველოს სამეფო ტახტზე რომ ავიდა.**

ვახტანგ მეფის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს ავტოკეფალიის საფუძვლის ჩაყრა. მან საქართველოდან განდევნა ცეცხლთაყვანისმცემელი ქურუმები... ვახტანგ მეფემ აღასრულა წმინდა მირიან მეფის სურვილი და იერუსალიმში ააშენა ქართველთა ჯვრის მონასტერი.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II ლოცვა-კურთხევით რუსთავში ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარი აშენდა, ხოლო სიონის საპატრიარქო ტაძარს მიუშენდა მისი სახელობის ეკვდერი.

**გიული ლიპარტია**


**გამოვიდა დამოუკიდებელი ლიტერატურული ალმანახი „ამერიმერი" (2023 წლის გაერთიანებული 1-2 ნომერი).**

**ავტორებს და დაინტერესებულ მკითხველს ნომრის შეძენა შეუძლიათ მისამართზე: თბილისი, ზანდუკელის ქუჩა №1 (მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის ეზო, რუსთაველის ძეგლთან).**
**(ტ. 593324712, 599343727)**
**რედაქტორი ვაჟა ჩორდელი**

ამერიმერი


# გურია ეროვნული ნაკრძალია!




**ჩოხატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში განხორციელებული კვლევებისა და მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ, გურიის ეროვნული პარკის საბოლოო საზღვრები მოინიშნა. ეროვნული პარკის შექმნის შესახებ კანონპროექტი საჯარო განხილვის ფორმატში მოსახლეობას წარედგინა. გურიაში ახალი დაცული ტერიტორიის შექმნა მხარის ადმინისტრაციის და ჩოხატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ინიციატივით ხორციელდება.**

აღსანიშნია, რომ 2019 წლიდან კვლევები ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) თბილისის ოფისის მიერ, შვედეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა – შეფასდა გურიის უნიკალური ბუნებრივი რესურსები, ეკოსისტემები, განხორციელდა საქართველოს და საერთაშორისო წითელი ნუსხის, CITES კონვენციით დაცული და ენდემურ მცენარეთა სახეობები, ტყის და მდელოების ტიპები და მათი ეკოლოგიური მდგომარეობა, ჩატარდა ზოოლოგიური კვლევები, ასევე, ტურიზმის განვითარების პოტენციალის შეფასება. გურიაში ეროვნული პარკის შექმნა ხელს შეუწყობს უნიკალური ეკოსისტემების და ბიომრავალფეროვნების დაცვას, რეგიონის ცნობადობის გაზრდას, ეკოტურიზმის და რეგიონის მდგრად განვითარებას და, შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

# ფოთში რვა სპორტული მოედანი სრულად განახლდა

**ფოთში, სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ფარგლებში, სრულად განახლდა 8 მინი მოედანი შემდეგ მისამართებზე: ნინოშვილის ქუჩა, 9 აპრილის ხეივანი, ბარათაშვილის ქუჩა, გურიის ქუჩა, არზიანის ქუჩა, ახალ რაიონი, კოსტავას ქუჩა და გორგასლის ქუჩა,** – ამის შესახებ ინფორმაციას ფოთის მერია ავრცელებს. რეაბილიტაციის ფარგლებში – მოეწყო ხელოვნური მინდვრის საფარი, განთავსდა ახალი კალათბურთის ფარები, დამონტაჟდა გარე განათება, შეიღება მთლიანად შემოღობვის კონსტრუქციები და სხვა.



პარალელურად, დასრულების ეტაპზეა კუნძულის სანაპიროზე ჩოგბურთის კორტის კეთილმოწყობის სამუშაოები. ფოთის მერია აქტიურად გააგრძელებს სპორტული ინფრასტრუქტურის განახლებას და ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

# საქართველო, როგორც ჯადოსნური ქვეყანა!

## CNN-მა ევროპის იმ ქვეყნების სია გამოაქვეყნა, სადაც საახალწლოდ მოგზაურობა განსაკუთრებით ჯადოსნურია

**CNN-მა იმ ევროპული ქალაქების სია შეადგინა, სადაც მოგზაურობა საშობაოდ განსაკუთრებით ჯადოსნურია.** ჩამონათვალში ერთ-ერთი თბილისია.

**„მათთვის, ვისაც უბრალოდ შობა არ სურს, საქართველო და მისი დედაქალაქი თბილისი უნდა გახდეს ნომერ პირველი სადღესასწაულო ადგილი. ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია და იულიუსის კალენდრის მიხედვით, აქ შობას 25 დეკემბრის ნაცვლად, 7 იანვარს ზეიმობენ. აქ მთავარი დღესასწაული 31 დეკემბერია, როდესაც ერთმანეთს საჩუქრებს ჩუქნიან. უზარმაზარი ნაძვის ხე პარლამენტის შენობასთან და ახლომდებარე საახალწლო სოფლები და ბაზრობები თბილისის ერთ-ერთი მთავარი სადღესასწაულო ღირსშესანიშნაობებია“,** – წერია სტატიაში. **ქვეყნების ჩამონათვალში საქართველოსთან ერთად მოხვდა ავსტრია, ნორვეგია, გერმანია, ბელგია და შვედეთი.**




# TIME-მა 2023 წლის ადამიანად ტეილორ სვიფტი დაასახელა

**„როგორც პოპვარსკვლავი, ის ელვის პრესლისთან, მაიკლ ჯექსონთან და მადონასთან ერთ რიგში დგას. როგორც სიმღერების ავტორს, მას ადარებდნენ ბობ დილანს, პოლ მაკარტნისა და ჯონი მიტჩელს“,** – წერს Time-ი და აღნიშნავს, რომ ტეილორ სვიფტმა შექმნა ბიზნესიმპერია, რომლის ღირებულებაც, სხვადასხვა შეფასებით, მილიარდ დოლარს აღემატება.




Time-ის ვერსიით 2023 წლის ადამიანის ტიტულისთვის ბრძოლაში ტეილორ სვიფტმა ჩინეთის ლიდერ სი ძინპინს, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს, OpenAI-ს თანადამფუძნებელ სემ ალტმანს, გაფიცულ ჰოლივუდელ სცენარისტებსა და მსახიობებს, დონალდ ტრამპის საქმის პროკურორებს, გრეტა გერვიგის ფილმის გმირ თოჯინა ბარბის, გაერთიანებული სამეფოს მეფე ჩარლზ მესამეს და აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სამსახურის (FED) თავმჯდომარეს ჯერომ პაუელს გაუსწრო.



# „სვანეთის ხმები“ – მურად ფირცხელანი, რუსლან სტეფლიანი, გულვერ გერლიანი და სხვები...

**რუსთაველის ეროვნული თეატრის მცირე სცენაზე მურად ფირცხელანის, რუსლან სტეფლიანისა და გულვერ გერლიანის საიუბილეო საღამო გაიმართა.**

სვანეთის ანსამბლ „რიჰოს“ სამი უხუცესი წევრი, თითქმის ნახევარი საუკუნეა, სვანურ ფოლკლორს სწავლობს, იცავს და ასრულებს. რუსთაველის ეროვნული თეატრის მცირე სცენაზე მათ კიდევ ერთხელ შეასრულეს ათასწლეულების წინ შექმნილი სვანური მრავალხმიანობის უნიკალური ნიმუშები. ანსამბლ „რიჰოსთან“ ერთად მსმენელის წინაშე წარდგნენ ანსამბლები: „ადილეი“, „ბასიანი“, „დიდგორი“, დები ჩამგელიანები, „ლალხორი“, „სათანაო“, „შილდა“ და „ძირიანი“.

საღამოს უძღვებოდა ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი და ანსამბლ „ბასიანის“ სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი დონაძე. პროექტი „სვანეთის ხმები“ სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, მოიცავდა სვანეთიდან ჩამოსული უხუცესი მომღერლების მიერ შესრულებული უნიკალური სვანური ფოლკლორული ნიმუშების ჩაწერას ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხმის ჩამწერ სტუდიაში ანსამბლ „ბასიანთან“ ერთად. ასევე, ფოლკლორის ცენტრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა შეხვედრა ანსამბლ „რიჰოს“ უხუცეს წევრებთან.

# იტალიური ოპერა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია...



**იტალიური ოპერა გაეროს კულტურული მემკვიდრეობის სიას დაემატა. მრავალსაუკუნოვანი ხელოვნება, რომელიც კოსტუმირებულ დრამისა და მუსიკის შერწყმას წარმოადგენს, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა კატეგორიას დაემატა.**

იტალიური ოპერა XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე ფლორენციაში, მედიჩის კარზე შეიქმნა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

# გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ 105 წლის „საქართველოს რესპუბლიკა“

**ხელმოწერისთვის მიმართეთ:**

შპს „ელვა ჯი“
595 382 626; 2 38 26 73; 2 38 26 74
577 308 847

შპს „პლანეტა ფორტე“
579 79 99 08; 599 94 73 11

წერილები გამოგვიგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:
SAKRESP@TOP.GE
SAKRESP@MAIL.RU

**დახმარების მსურველები დაგვიკავშირდით:**

თბილისი, ა. წერეთლის პროსპექტი №116, „დიდუბე პლაზა“ – საქართველოს ჟურნალისტთა კავშირისა და გაზეთ „საქ. რესპუბლიკის“ ოფისი.

ნებისმიერი რაოდენობის შემოწირულობის (დახმარების) თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ ანგარიშზე
GEO90BG0000000538329790
შპს „100 – ახალი საქართველოს რესპუბლიკა“, გაზეთ „საქ. რესპუბლიკის“ გამომცემელი.
ტელ: 599 36 00 35, 577 77 27 17;

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 13 დეკემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6695; ევრო - 2.8793;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3590;
100 რუბლი - 2.9157; თურქული ლირა - 0.0935;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5689;
1000 სომხური დრამი - 6.6305

**ამინდი 11 დეკემბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +1, | დღე +14 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -4, | დღე +11 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +4, | დღე +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +2, | დღე +12 |
| თბილისი: | ღამე | +6, | დღე +12 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge